ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: ქართული ფილოლოგია

სოფიო ნადირაძე

რეპრესიული სისტემის როლი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ქართული საზოგადოების ჩამოყალიბებაში ოთარ ჭილაძის რომანების („აველუმი“ და „გოდორი“) მიხედვით

ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: კახაბერ ლორია
ფილოლოგიის დოქტორი, სრული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

XX საუკუნის მწერლობაში ეროვნული იდენტობა, როგორც კულტურული ფენომენი, მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდი ლიტერატურაში ერთ-ერთ ძალიან რთულ, ტრავმულ პერიოდად აღიბეჭდა. სწორედ ამ ძირითად თემებს ეხება ოთარ ჭილაძე რომანებში „აველუმი“ და „გოდორი“. ის გვაჩვენებს როგორც თითოეული გმირის, ისე მთლიანად მაშინდელი საზოგადოების უკიდურესად მძიმე მდგომარეობას. გვიხატავს ადამიანის ფსიქოტიპს, რომელიც რეპრესიული სისტემის მსხვერპლია.

ჩვენი საკვლევი რომანები გამორჩეულია იმით, რომ მწერალი ძალიან ნათლად, მკაფიოდ, მოურიდებლად ასახავს სინამდვილეს და გვაჩვენებს, რა მდგომარეობამდე მიჰყავს ადამიანი საბჭოურ იდეოლოგიას. „აველუმისა“ და „გოდორის“ წაკითხვის შემდეგ მკითხველს საშუალება ეძლევა, წარმოიდგინოს, რა მდგომარეობაში იყო ყველა ის ქვეყანა, რომელიც საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შედიოდა.

ნაშრომის მიზანია, დავინახოთ, როგორ ცდილობენ რომანის მთავარი გმირები გადარჩენას, როგორ ებრძვიან ისინი დამახინჯებულ მეხსიერებასა და შიშებით დათრგუნულ საკუთარ თავებს. ჩვენს ნაშრომში სიახლეა ის, რომ დაწვრილებით შევისწავლეთ რომანების მთავარი გმირების ფსიქოტიპები. გამოვიკვლიეთ, რა გავლენას ახდენს ამ ფსიქოტიპებზე რეპრესიული სისტემა. „აველუმსა“ და „გოდორს“ შორის დაძებნილი პარალელების კვალდაკვალ ორივე რომანს განვიხილავთ ერთ მთლიანობად, რომელიც საბჭოთა და პოსტსაბოთა პერიოდის საქართველოს ასახავს.

ნაშრომი შედგება სამი თავისაგან, პირველ თავში ვისაუბრებთ ოთარ ჭილაძის მოქალაქეობრივ და ლიტერატურულ პორტრეტზე, მეორე და მესამე თავებში კი დაწვრილებით განვიხილავთ მწერლის ბოლო ორ რომანს.

Annotation

National identity, as a cultural phenomenon has an important place in the 20th century literature. Soviet and post-Soviet period was imprinted as one of the most difficult and traumatic periods in literature. These are exactly the basic themes which Otar Tchiladze addresses in his novels, “Avelum” and “The Basket”. He shows us both each character’s and the whole society’s extremely hard condition, characterizes a person's psychotype, who is a victim of the repressive system.

Our exploratory novels are distinguished since the writer depicts the reality in a very clear, distinct and bold way and shows us to which condition Soviet ideology brings a person. After reading “Avelum” and “The Basket” a reader can imagine the condition of all the countries, which were the members of the Soviet Union.

The paper aims to make us see how the characters of the novel try to survive, how they struggle against the distorted memory and themselves oppressed with fear. The innovation in our paper is that we studied the psychotypes of the main characters of the novel in detail. We researched how a repressive system influence on these psychotypes. Because of existing parallels between “Avelum” and “The Basket” we will analyse both novels as a whole, which depicts Georgia in Soviet and post-Soviet period.

The paper consists of three chapters. In the first chapter we will talk about Otar Tchiladze’s civil and literary portrait. In the second and third chapters we will analyse the writer’s last two novels in detail.

სარჩევი

შესავალი..... 5

თავი I

ოთარ ჭილაძე - მოქალაქეობრივი და ლიტერატურული პორტრეტი..... 9

თავი II

საბჭოთა რეპრესიული სისტემის გავლენა აველუმის ფსიქოტიპის ფორმირებაზე..... 15

თავი III

რეპრესიული სისტემის როლი რომან „გოდორის“ პერსონაჟთა ცნობიერების

ჩამოყალიბებაში 41

დასკვნა..... 60

ბიბლიოგრაფია: 62

შესავალი

XX საუკუნე ჩვენი ქვეყნის ისტორიის რამდენიმე ისტორიულ-პოლიტიკურ პერიოდს აერთიანებს. ორასწლიანი ტყვეობის შემდეგ, 1918-1921 წლებში, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა იქმნება, რომელიც დიდხანს ვერ იარსებს და 1921-1991 წლებში ისევ ტყვეობის მსხვერპლი ხდება, ამჯერად საბჭოთა რესპუბლიკის ტყვეობისა. 1991 წელს ახალი, გარდამტეხი ეპოქა იწყება.

ბუნებრივია, ეს ყველაფერი ძალიან დიდ გავლენას მოახდენდა ლიტერატურაზე. ეს არის ღირებულებათა გადაფასების საუკუნე. ჩნდება ახალი მიმართულებები, როგორიცაა მოდერნიზმი და პოსტმოდერნიზმი. რომლის მთავარ პრობლემას ადამიანის ფუნქციის გაგება და მისი სულიერი სამყაროს წვდომა წარმოადგენს.

"70-80-იანი წლების ისტორიულ-პოლიტიკურმა ვითარებამ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების წინაშე მთელი სიმწვავით დააყენა გადარჩენის პრობლემა. ლიტერატურისა და ხელოვნების ყველა სფეროში განუწყვეტლივ იგრძნობოდა მოუთმენლობა და მზადება იმ იდეოლოგიური და ზნეობრივი ვითარების შესაცვლელად, რომელიც იმპერიული ზეწოლის შედეგად ჩამოყალიბდა. მწერლობამ დაიწყო იმ საორიენტაციო ნიშანსვეტების მოძიება, რომლებიც ეროვნული მენტალიტეტის შერყეულ საფუძვლებს გააძლიერებდა და წინააღმდეგობის ძალას შესძენდა. სწორედ ამ სახით გაცხადდა ეროვნული შემოქმედებითი ცნობიერების მოძრაობა გადარჩენისაკენ." [მ.კვაჭანტირაძე 2010: 226]

სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის მწერალი ოთარ ჭილაძე, რომელიც XX საუკუნეში მიმდინარე ცვლილებებისა და სიახლეების გამო დაწერს რომანს, რომელსაც „მოცლილი მკითხველის" იმედად ტოვებს. მწერალი კარგად იცნობს ღირებულებათა გადაფასების ეპოქას და თითქოს ეშინია, რომ ადამიანებს წიგნისთვის, სულიერი საზრდოსთვის აღარ ეცლებათ.

ოთარ ჭილაძე დაიბადა 1933 წლის 20 მარტს, ქალაქ სიღნაღში. სწავლა ბათუმში დაიწყო, მაგრამ თბილისში დაასრულა, 1956 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. ჟურნალისტიკის განხრით. პირველი ლექსი

გამოაქვეყნა ალმანახში „პირველი სხივი“ 1952 წელს. ლექსების პირველი კრებული „მატარებელი და მგზავრები“ გამოვიდა 1959 წელს. შემდეგ მწერალმა პოეზიიდან პროზაში გადაინაცვლა და როგორც გურამ გვერდწითელი წერს სტატიაში „მარადი მგზავრი“, მისმა პირველმა რომანმა საყოველთაო აღფრთოვანება და განცვიფრება გამოიწვია. ასე მოხდა დანარჩენი რომანების გამოქვეყნების შემდეგაც და რაც ჩვენთის ძალიან მნიშნელოვანია, მისი რომანებით მოხიბლული იყო არა მხოლოდ ქართველი, არამედ უცხოელი მკითხველიც. მალევე ითარგმნა რომანები რუსულ ენაზე. ითარგმნა ევროპის ბევრ ქვეყანაში და პოპულარულობაც ძალიან სწრაფად მოიპოვა.

ოთარ ჭილაძე ექვსი რომანის ავტორია: „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“(1973), „ყოველმან ჩემმა მპოვნელმან“ (1976), „რკინის თეატრი“ (1981), „მარტის მამალი“ (1987), „აველუმი“ (1995) და „გოდორი“(2002)

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ბოლო ორ რომანზე. როგორც თამაზ ჭილაძე ამბობს, „აველუმი“ ავტობიოგრაფიული რომანია. სადაც აველუმმა და მელანიამ აუცილებლად უნდა გაგვახსენოს ოთარ ჭილაძე და მისი მეუღლე ნანა. წიგნი ძალიან მალე ითარგმნა გერმანულ ენაზე და დიდი მოწონებაც დაიმსახურა მსოფლიო ლიტერატურის ასპარეზზე გასულმა. 1999 წელს, შვედეთში, ნობელის პრემიის დაჯილდოების ცერემონიალზე, ლიტერატურის დარგში უმბერტო ეკოსა და გიუნტერ გრასის გვერდით ოთარ ჭილაძეა წარდგენილი რომანით „აველუმი“. მწერალი ნობელს ვერ მიიღებს, მაგრამ მისი შემოქმედება ევროპულ ლიტერატურაში საპატიო ადგილს იკავებს.

არაერთი ქართველი მკვლევარი გამოეხმაურა რომანს. საინტერესოა მანანა კვაჭანტირაძის სტატია „ტრავმული მეხსიერება პოსტსაბჭოთა ქართულ ნარატივში“, სადაც კრიტიკოსი ამბობს, რომ ტრავმის გადალახვისთვის ცნობიერების მუშაობა, მეხსიერების დადებით გამოცდილებად უნდა ჩაითვალოს. მთავარი გმირი კი ცდილობს, ტრავმა მომავალზე პასუხისმგებლობის შეხსენებით გადალახოს.

მაკა ჯოხაძის აზრით, ეს არის წიგნი, რომელიც საბჭოთა კავშირის მეტაფორაა, ზუსტად ისე, როგორც ჯორჯ ორუელის „1984“ და „ცხოველთა ფერმა“.

მაია ჯალიაშვილი კი სტატიაში „წიგნი- საუკუნის ხატი“, მსჯელობს, როგორ გადააგვარებს „ბოროტების იმპერია“ ადამიანს. რაც ჩვენთვის ძალიან საინტერესოა და რაც იშვიათად იკითხება სხვა მკვლევარებთან, მაია ჯალიაშვილი გვეუბნება, რომ აველუმი ძალიან ბევრს იბრძვის თავისუფლებისათვის.

აზრთა სხვადასხვაობა არსებობს აველუმის გმირთან დაკავშირებით, ეკა ცხადაძე სტატიაში „აველუმი“-ორი იმპერიის აღსასრული„ წერს, რომ აველუმი არის ადამიანი, რომელსაც პირველ რიგში საკუთარი კეთილდღეობა აინტერესებს, რომელიც „სიყვარულის იმპერიაშიც“ უსამართლოდ ექცევა ქალებს და არც ის ადარდებს, რომ საბჭოთა რუსეთის ძალები ნელ-ნელა სუსტდება. პირიქით, ვერ ელევა ამ შესუსტებას და უკვე შეჩვეულ მდგომარეობას. რასაც ჩვენ ნამდვილად ვერ დავეთანხმებით და ნაშრომში ვაჩვენებთ, რომ აველუმი თავისუფლებისათვის გაჩენილი ადამიანია.

კრიტიკოსი როზა დევდარიანი აველუმის სახელის საინტერესო ტრანსფორმაციას გვიჩვენებს სტატიაში „აველუმობიდან აბელუმობამდე“, სადაც გვეუბნება რომ აველუმისათვის ოჯახი საპყრობილეა, ხოლო ფრანსუაზა ამ საპყრობილიდან გასაქცევი ერთადერთი გზა. რასაც ვერ დავეთანხმებით და ნაშრომში მსჯელობით ვეცდებით ვაჩვენოთ საწინააღმდეგო, რომ ერთადერთი ადამიანი, ვისაც ნამდვილად შეუძლია აველუმის შეფარება მელანიაა.

ასევე არ ვიზიარებთ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აველუმის დაღუპვა უაზრო და ულოგიკოა. რომანში მკითხველი ხედავს, რომ აველუმი მსხვერპლი ხდება შვილისა და ორი ჯარისკაცის ბრძოლის შედეგად შემთხვევით გავარდნილი ტყვიისა. ვფიქრობ, მწერალი მიზანმიმართულად კლავს გმირს სწორედ ამგვარად. აველუმი არის ადამიანი, რომელმაც ვერ უნდა გაუძლოს ძმათა სისხლისმღვრელ ომს, რომელმაც ამ ომის შემდეგ ვეღარ უნდა გააგრძელოს არსებობა.

ოთარ ჭილაძის რომანი „გოდორი“ მწერლის ბოლო ნაწარმოებია. ამიტომ კრიტიკოსები მას შემაჯამებელ წიგნსაც კი უწოდებენ.

მაია ჯალიაშვილმა სტატიაში „დაკარგული ქვეყნის ძიება“ ძალიან ზუსტად გადმოსცა მწერლის მთავარი სათქმელი. რომანში ვხედავთ, რომ ძლიერი საქართველო დაკარგული და გამქრალია.

კრიტიკოსი ნანა ცანავა ეხმიანება რომანში ერთ-ერთ ძალიან საინტერესო დეტალს, ლიზიკოს ბავშვის, ანუ „ორი მამის შვილის“ ამბავს, რასაც იშვიათად ვხვდებით სხვა მკვლევარებთან და გვეუბნება, რომ მწერლის აზრით ბოროტებისა და პასიურობის ნაზავი (რაჟდენისა და ანტონის) ვერ იქნება საქართველოს მომავალი.

„გოდორმა“ ძალიან დიდი გულდაწყვეტა გამოიწვია რუს ლიტერატორებს შორის, ისინი აღნიშნავდნენ, რომ ოთარ ჭილაძე, სრულიად უსაფუძვლოდ ადანაშაულებდა ამ რომანით „ერთმორწმუნე მეგობარ ერს“. გაბრაზება და აღფრთოვანება, ორივე ერთდროულად გამოუწვევია რომანს რუს მკითხველში. „გოდორმა“ პროფესიონალი რუსი მკითხველი ჯერ გააბრაზა და შემდეგ აღაფრთოვანა. სტანისლავ რასსადინი წერილში „ესქილე თბილისიდან“ (**«Новая газета» 2004ნ, № 23**) წერს, რომ ამ რომანის მიხედვით ოთარ ჭილაძეს ძალიან მკაცრი დამოკიდებულება აქვს რუსეთთან და მისი აზრით, შესაძლოა ეს “ყბადაღებული რუსოფობიის“ ბრალი იყოს. საბოლოოდ კი იმასაც იტყვის, რომ „საქართველოს საუკეთესო პროზაიკოსმა საზარელი რომანი დაწერა“.

ოთარ ჭილაძის რომანები, როგორც ვხედავთ გასცდა საქართველოს საზღვრებს მის რომანებზე წერდნენ: სფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, დანიაში, ჩეხეთში, სლოვაკეთში, რუსეთში, უკრაინაში

როგორც დავინახეთ, არაერთი მკვლევარი და კრიტიკოსი წერს რომანებზე „აველუმი“ და „გოდორი“. ვფიქრობ, ეს ბოლო ორი რომანი წლების განმავლობაში კიდევ იქნება ძალიან აქტუალური საკვლევი მასალა, რადგან აქ წარმოდგენილია თანამედროვე საზოგადოების ძალიან ბევრი პრობლემა.

ჩვენი ნაშრომის მიზანია ოთარ ჭილაძის ტექსტებსა და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით გავარკვიოთ, რა გავლენა იქონია საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პოლიტიკამ ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებაში.

მეცნიერულ სიახლეს კი ის წარმოადგენს, რომ ორივე რომანი განვიხილეთ როგორც ერთი, დიდი მთლიანობა. მთვარი გმირების ფსიქოტიპებზე დაკვირვებით წარმოვაჩინეთ საზოგადოების სახე და რეპრესიული სისტემის როლი მათ ცხოვრებაში. გარდა ამისა, ყურადღება გავამახვილეთ გმირების სახელებზე, დავძებნეთ საინტერესო პარალელები. ამასთან, დაწვრილებით ვისაუბრეთ „გოდორის“ -რომანის სახელის

ტრანსფორმაციაზე მწერლის ჩანაწერების მიხედვით, რომლის მნიშვნელობაზეც აქამდე ყურადღება არ ყოფილა გამახვილებული. არ შემოვიფარგლეთ მხოლოდ ბოლო ორი რომანით, მწერლის შემოქმედება განვიხილეთ სხვადასხვა ასპექტით, პოეზიისა და პირადი ჩანაწერების გათვალისწინებით. პარალელები გავავლეთ XX საუკუნის, როგორც ქართულ, ისე უცხოურ ლიტერატურასთან.

თავი I

ოთარ ჭილაძე - მოქალაქეობრივი და ლიტერატურული პორტრეტი

„მწერლობა ის სასიცოცხლო სივრცეა, სადაც ვგრძნობთ საკუთარი არსებობის მნიშვნელობას“. [თ.ჭილაძე 2011: 27] ოთარ ჭილაძე კი ის მწერალია, რომელიც ადამიანს საკუთარი თავის შეცნობაში ეხმარება. უსასრულოა მისი შემოქმედება, სადაც გამუდმებით უნდა ეძიოს მკითხველმა სულის საზრდო. ძალიან ბევრი დაწერილა მწერლისა და მისი მხატვრული სამყაროს შესახებ, კიდევ ბევრი დაიწერება, გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ძალიან დიდ სიმდიდრესთან, რომელიც ყველა მკითხველს, მკვლევარს თავისებურად, განსხვავებულად ეშლება თვალწინ. სწორად შენიშნა ამირან არაბულმა: *“ოთარ ჭილაძის მხატვრული სამყაროს უვრცესი, მზერამიუწვდომელი პანორამის თუნდაც ძირეული შტრიხებისა და კონტურების ზოგადი მონახაზის მოხელთებაც კი ჩემს ამჟამინდელ განზრახვას ბევრად აღმატება.“* [ა.არაბული 2010: 110]

ოთარ ჭილაძეს თითოეული ადამიანი ჩაჰყავს საკუთარი სულის სიღრმეში და ცდილობს აჩვენოს მას, *„რა სჭირს ადამიანს“.* ამის შემდეგ კი მკითხველი, თითქოს ახლიდან დაბადებული, სრულიად სხვა თვალით შეხედავს სამყაროს და დაინახავს, რომ ოთარ ჭილაძე არავის ჰგავს, არავის კვალს არ მიჰყვება. მწერალი ცდილობს, მთლიანად მოიტანოს შენამდე, ის რაც, მას თავად განუცდია, რისთვისაც მიუგნია, თვალწინ დაგიდოს და გითხრას, რომ შენ ერთმა ადამიანმა, არასდროს უნდა დაკარგო იმედი, ყოველთვის უნდა იბრძოლო. ბედნიერია ის ადამიანი, ვინც შეძლო, წაიკითხა და იმის პატარა ნაწილი მაინც შეიგრძნო და გაითავისა, რაც მწერალმა დაგვიტოვა. ბედნიერია საქართველო იმიტომ, რომ მიწის ამ *„პატარა ნაგლეჯზე“* დაიბადა ოთარ ჭილაძე.

იმისათვის რომ, ახლოს გავიცნოთ მწერლის მოქალაქეობრივი პორტრეტი გავიხსენოთ ბესიკ ხარანაულის სიტყვები: „*თუ მისი* (საუბრობს ოთარ ჭილაძეზე) *გაგება გინდა, მოუსმინე: ლექსით გვარსა და სახელს გეტყვის, რომანებით კი ვინაობას გაგიმხელს.*“ [ბ.ხარანაული 2010: 276] სახელისა და გვარის განდობის შემდეგ მწერლის მთლიანი შემოქმედების წინაშე აღმოვჩნდებით, რომელიც სრულიად ახალი სამყაროა. მთავარია, კარი მოუძებნო, ფეხი გადადგა ზღურბლზე და არ შეგაშინოს სივრცის უსასრულობამ. მერე ყველაფერი შეიცვლება რაც აქამდე იყო. გზები შენით უნდა გაიგნო, გმირებთან ერთად იმოგზაურო წარსულში, მეხსიერების მივიწყებულ საფეხურებზე და იქიდან დაბრუნებულმა აღმოაჩინო, რომ საკუთარ თავამდე მიხვედი. აღმოაჩინო, რომ აქამდე განუცდელ სიხარულს ეზიარე. მერე კი ვეღარასდროს შეძლებ, ცხოვრება გააგრძელო ამ სამყაროს გარეშე, რადგან ის უკვე შენი ნაწილი ხდება და იცი, რამდენჯერაც არ უნდა მიადგე მის კარს, იმდენჯერ რაღაც ახალს აღმოაჩენ. იმდენჯერ ახლიდან დაიბადები.

მკითხველისათვის გზა უკვე ნაჩვენებია. უნდა მოისმინოს შემოქმედის ლექსები, წაიკითხოს რომანები და ძალიან ახლოს მივა მისი სულის ტაძართან. ამ ტაძრისაკენ სავალი გზა უფრო რომ გაგვიმარტივდეს უნდა წავიკითხოთ მისი ჩანაწერები, თამაზ ჭილაძის წიგნი „ოთართან ერთად...“, ბოლოს კი, მეგობრების მოგონებები ოთარზე. ეს ყველაფერი ერთ დიდ მთლიანობამდე მიგვიყვანს და ჩვენს წინაშე გაჩნდება ადამიანი, რომელიც დაუღალავად იბრძოდა იმისათვის, რომ სამყარო უკეთესი ყოფილიყო.

„მე ყველა სიტყვის წარმოთქმა მიჭირს
თვალს ყოველ დილით ტკივილით ვახელ.“

[თ. ჭილაძე 2011: 249]

ამ სიტყვებს სრულიად ობიექტურად კომენტარს უკეთებს ბატონი თამაზი, ასე იყო ბოლო წუთამდე, სიცოცხლის ბოლომდე არაფერი შეცვლილაო. ტკივილიანია ოთარ ჭილაძის თითოეული სიტყვა, რადგან მისი სათქმელი ყოველთვის იქითაა მიმართული, რომ განიკურნოს ვიღაცის სული. ტკივილიანია მისი ყოველი დილა, რადგან არასდროს წყვეტდა ფიქრს სამშობლოზე, ღმერთზე, ადამიანებზე, მტერზე, გადარჩენის გზებზე. აქედან გამომდინარე კი მას ჰქონდა სრული უფლება ხმამაღლა ეთქვა:

„და ჩემი სული, როგორც სანთელი

საკუთარ სხეულს წვავს და ანთია,“

[თ. ჭილაძე 2011: 249]

ამ სინათლით ეხმარება დღემდე მწერალი ადამიანებს, დაუსრულებელ ლაბირინთებში რომ გაიგნონ გზა. სწორედ ამიტომ იყო ის *„ბედნიერი ტანჯული“.*

ოთარ ჭილაძის ჩანაწერებში „ცა მიწიდან იწყება“ ვეცნობით ყველაფერს, რაც შემოქმედს აწუხებდა და მოსვენებას უკარგავდა, როგორც პოეტს, პროზაიკოსს და პირველ რიგში მოქალაქეს. ჩანაწერებიდან ვიგებთ მის დამოკიდებულებას საკუთარი შემოქმედებისადმი, სამშობლოსადმი, სიყვარულისა და სიკვდილისადმი. ვხედავთ, რა გზას გადიოდა შემოქმედი, როცა გენიალურ რომანებს წერდა, როგორ ფიქრობდა მათ სათაურებზე, რას განიცდიდა, როცა სხვას აკითხებდა ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ ნაწერებს და ა.შ. და ბოლოს ისევ ამ ჩანაწერებში ვკითხულობთ სიტყვებს, რომელიც თვალსაჩინოს ხდის მწერლის პიროვნებას და მის მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას : *„ერთ რამეს ვინატრებდი მხოლოდ - ოდესმე, საუკუნეთა მიღმა, ისევ ამ მიწაზე და ამ ცის ქვეშ, ვიღაცამ, სულერთია ვინ, ოღონდ ჩემი ვინაობის და ხელობის მცოდნემ (შეიძლება დამფასებელმაც), ჩემს საფლავს ჩასძახოს: იძინე მშვიდად, ჯერ ისევ ვარსებობთ, ისევ ვიბრძვით, ისევ ხალხი გვქვია.“*[ო.ჭილაძე 2009: 163-164]

ვფიქრობ, იმისათვის, რომ სრულყოფილი გავხადოთ მწერლის მოქალაქეობრივი პორტრეტი აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ის ერთადერთი წინადადებაც ოთარ ჭილაძემ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში, დაავადებულმა, გაჭირვებით რომ უთხრა თავის დას: *„ცოდოა, ცოდოა საქართველო, მოუარეთ“.* [მ.კვაჭანტირაძე 2009: 167] მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება მიმართული იყო იქით, რომ თავისი სამშობლო გადაერჩინა დაღუპვისაგან.

არასოდეს ყოფილა პასიური მოქალაქე. მისი ბიოგრაფიიდან ნათლად ჩანს, რომ მწერალს არ დაუტოვებია უყურადღებოდ არც ერთი მნიშვნელოვანი, ისტორიული ფაქტი. ყოველთვის აკეთებდა კომენატრს, შეფასებას, საუბრობდა ფაქტებიდან გამომდინარე მოსალოდნელ შედეგებზე. აქედან გამომდინარე კი, მისი თანამოქალაქეები იმედით შესცქეროდნენ მის თითოეულ სიტყვასა და აზრს. ვნახოთ, რას წერს ამ საკითხთან

დაკავშირებით მანანა კვაჭანტირაძე: *„გვეიმედებოდა, რომ ჩვენ გვერდით იყო, რომ საქართველოს ჰყავდა. სძაგდა სიყალბე, უღირსობა, კლოუნადა. არასდროს ყოფილა მოსეირე, მოიოლე, შორიდან მზირალი, თუმცა ღირსებასთან ერთად თავისი ხალხის ნაკლიც კარგად უწყოდა. არასდროს ინიღბებოდა, არ ისვენებდა და არ გვასვენებდა, არაფერს არიდებდა თვალს. დარაჯად ედგა ხსოვნას, ისტორიას, ყველაფერს რაც გადარჩენასა და დაბინავებს იმსახურებდა. იმ სახლის კარის ჭრიალიც კი ესმოდა, მის გაჩენამდე რომ დაინგრა“.* [მ.კვაჭანტირაძე 2009: 169] თუმცა ხშირად საყვედურობდნენ, არსად ჩანხარო. *„ხმას რატომ არ იღებთ, ბატონო ოთარ? მიმდინარე მოვლენებზე გვითხარით რამე! არ ერევით? რაღა უნდა ეთქვა იმაზე მეტი, რაც გვითხრა...კი არ გვითხრა, გვიყიჟნა, მაგრამ ჩვენვე დავტოვეთ მისი ხმა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა..“*. [მ.კვაჭანტირაძე 2009: 168]

თავად ოთარ ჭილაძე კი, ამ საკითხთან დაკავშირებით ამბობს: *„-რაც თავი მახსოვს, უაღრესად აქტიურად ვცხოვრობ... სულ ვწერ, ესე იგი, სულ ვომობ. თუმცა, ჩემი ომი, რატომღაც დუმილად და განდგომად აღიქმებოდა ყოველთვის, განსაკუთრებით ჟურნალისტების მხრიდან...“* [კრიტიკა 2010: 329]

მკითხველი აუცილებლად დაინახავს ამ ომის შედეგებს და იმ დაუსრულებელ ენერგიას, რომელსაც ოთარ ჭილაძის შემოქმედება გვიტოვებს. შეიძლება, გაუკვირდეს კიდეც ადამიანს, როგორ ახერხებს მწერალი, რომ ყველა გამოუვალი სიტუაციიდან და ლაბირინთიდან გამოჰყავს თავისი გმირები. გამოჰყავს და ჩვენც გვეუბნება, რომ *„წინ მარადისობაა“.* ზემოთ ვახსენეთ, ოთარ ჭილაძის პიროვნების გაცნობაში მწერლის მეგობრების მოგონებებიც გვეხმარება-მეთქი და ამ საკითხზე მსჯელობას სწორედ ამ მოგონებებით დავასრულებ. მსჯელობის შემდეგ კი დავინახავთ, რომ ეს დაუშრეტელი ენერგია და იმედი, პირველ რიგში, სწორედ მწერლის პიროვნების მთავარი მახასიათებელი თვისება ყოფილა.

თვალი მივადევნოთ რას წერს ოთარ ჭილაძეზე მხატვარი ზურაბ ნიჟარაძე: *„ავადმყოფსაც კი შეეძლო, სასიცოცხლო ენერგია გადაეცა გვერდზე მყოფისათვის, ამას ახერხებდა ყოველგვარი ზედმეტი საუბრისა და მოქმედების გარეშე. ცოტა ხნითაც რომ შეხვედროდი, მისი გარემო გიცავდა, გამხნევებდა და თანაც იმ დროს, როცა თავად*

საშინელ გუნებაზე იყო. შესაძლოა, ეს ხდებოდა მისი დიდი სულიერი ენერგიის გამო. მე არ ვიცი ამ უცანური თვისების სახელი“. [ზ.ნიჟარაძე 2010: 243]

აქედან გამომდინარე, ჩვენ უკვე ვხედავთ იმ ენერგიის პირველწყაროსაც, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობდით და იმასაც, რომ მწერლის მოქალაქეობრივი და ლიტერატურული პორტრეტი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მწერალი, მთელი თავისი არსებით, შემოქმედებითა და ცხოვრების წესით ერთ რაიმეს ემსახურებოდა, გიცავდა და გამხნევებდა. აკაკი ბაქრაძე ამბობს ერთ-ერთ სტატიაში, ცხოვრება გაძლებაა და კაცს ამისთვის ენერგია უნდა ჰქონდესო. ოთარ ჭილაძე ის ადამიანია, რომელიც ამ გასაძლებ ენერგიას გვაძლევს. ის მწერალია, რომელიც დაუღალავად იბრძვის, მწვერვალისაკენ მიიწევს და შენც მოგიწოდებს, რომ არ უნდა გაჩერდე. საკუთარი მწვერვალი უნდა შექმნა და შენივე ძალებით დაიპყრო ის.

ახლა შევეცადოთ, დავინახოთ ოთარ ჭილაძის ლიტერატურული პორტრეტი. *„ცხოვრების წესით ძალიან ჰგავდა თავის შემოქმედებას, წერდა ისე, როგორც ცხოვრობდა. ოთარ ჭილაძის პერსონაჟები მისი ბუნებიდან იყვნენ ამოზრდილნი”*. [ზ.ნიჟარაძე 2010: 241] მკითხველი, რომელიც კარგად იცნობს შემოქმედის რომანების მთავარ გმირებს, ამ სიტყვების შემდეგ მარტივად წარმოიდგენს მის ლიტერატურულ პორტრეტსაც. ჩვენ ისიც შეგვიძლია, რამდენიმე გმირის თვისებები გავაერთიანოთ და ამით ერთი პორტრეტი შევქმნათ მწერლისა, რადგან ვიცით, რომ *„ოთარ ჭილაძეს არასოდეს აქვს პოზიცია და დისტანცია თავის პერსონაჟებთან. როცა მეტყველებს მისი პერსონაჟი, მეტყველებს მწერალი.“* [ლ.ბერძენიშვილი 2008: 38]

ამიტომ, თამამად შეგვიძლია გავიხსენოთ ნიკო („მარტის მამალი“) , რომელიც კარგავს პურის წიგნაკებს და პარალელი გავავლოთ მწერლის ბიოგრაფიასთან. პატარა ოთარმა მართლა დაკარგა ეს წიგნაკები და მერე თვითონაც გადაკარგულა სახლიდან, მთელი დღე ეძებდნენ ნათესავები. წლების შემდეგ კი „მარტის მამალში“ გადაიტანს მწერალი ამ განცდებს და იტყვის: *„პურის წიგნაკები დაკარგა და სიკვდილის განაჩენი გამოუტანა თავისიანებს.“* [თ.ჭილაძე: 2011, 31] გავიხსენოთ „აველუმი“, რომელზეც თამაზ ჭილაძე გვეუბნება ყველაზე ავტობიოგრაფიული რომანიაო. აველუმი და მელანია აუცილებლად გაგვახსენებენ ოთარ ჭილაძესა და მის მეუღლეს, რომელიც ამაყად

დააბიჯებს ქუჩებში. აველუმის, ისევე როგორც ოთარ ჭილაძის ერთადერთი მიზანი თავისუფლების მოპოვება და გზების ძიებაა ამ თავისუფლების მისაგნებად. არც ისაა შემთხვევითი, რომ აველუმი მწერალია.

აქვე გავიხსენოთ ესე „აველუმ, მშვიდობით!“, სადაც პოეტი, პროზაიკოსი და დრამატურგი ნინო სადღობელაშვილი აველუმის სახელს კი იყენებს, მაგრამ სინამდვილეში ოთარ ჭილაძეზე გველაპარაკება. ჯერ ესალმება მას, ბოლოს კი ემშვიდობება და თან განგვიმარტავს, ის მთავარი მწერალი, რომელზეც ჩვენ ამ ესეში ვისაუბრეთ, აველუმიაო.

მწერალია „გოდორის“ ერთ-ერთი მთავარი გმირიც ელიზბარი, რომელიც „*სხვებზე უკეთესად გრძნობს ნებისმიერ სახიფათო ცვლილებას ცხოვრებაშიც და ბუნებაშიც...*“ [ო.ჭილაზე 2015: 141]

ჩვენ მიერ შექმნილი ლიტერატურული პორტრეტი დაგვეხმარება დავინახოთ, როგორი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდა მწერალს ბავშვობიდანვე, რომელსაც შიმშილის დღეებში პურის მიტანა სურდა ოჯახის წევრებისათვის. წარმოვიდგინოთ და დავინახოთ, როგორ დადიოდა ის თავისი პერსონაჟების მსგავსად რეპრესიული სისტემის ლაბირინთებში და როგორი იყო მისი ალღო, ინტუიცია მოსალოდნელ საფრთხეებთან დაკავშირებით.

მსჯელობას ლია სტურუას სიტყვებით დავასრულებ: „*დიდი პოეტი იყო ოთარ ჭილაძე და ლამაზი კაცი. იმ ასიმეტრიული პროპორციით ლამაზი, რომლითაც სვეტიცხოველია აგებული. თუ ადამიანი შეიძლება გავდეს ტაძარს, ეს ოთარ ჭილაძეა, თუ შენს გამოგონილ, ან ვირტუალურ სამყაროში ადამიანმა შეიძლება, ღრუბლით ან მზით გაზომილი, თავისი ლექსების და გმირების დიდი რაოდენობა ჩაგიტოვოს, თვითონ კი სევდიანად და ძალიან ღირსეულად დაემშვიდობოს სამშობლოს და ყველა ჩვენგანს, ეს ოთარ ჭილაძეა:*

„გაუფასურდა, ჩაბარდა წარსულს
რითაც დროს ვკლავდი და თავს ვირთობდი,
მე კი სხვაგვარად ცხოვრება არ მსურს,
კარგად იყავით, მადლობთ, მშვიდობით.”

[ლ. სტურუა 2010: 337]

ვფიქრობ, ამ სიტყვებით ნათლად წარმოგვიდგება მწერლის როგორც მოქალაქეობრივი, ისე ლიტერატურული პორტრეტი.

ამგვარად, წინამდებარე თავში დავინახეთ, რომ მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული მწერლის ბიოგრაფია და შემოქმედება. ვაჩვენეთ, რომ ოთარ ჭილაძე, როგორც მოქალაქე, ხშირ შემთხვევაში ძალიან ჰგავს თავის გმირებს, რადგან მათ საერთო საზრუნავი და ღირებულებები აქვთ.

თავი II

საბჭოთა რეპრესიული სისტემის გავლენა აველუმის ფსიქოტიპის ფორმირებაზე

ოთარ ჭილაძის რომანში „აველუმი“ აღწერილი რეალობა განსაზღვრავს პერსონაჟებსა და მათ მთავარ მახასიათებლებს. მხატვრულ ტექსტზე დაკვირვების კვალდაკვალ ვაჩვენებთ, რა მდგომარეობამდე მიჰყავს რეპრესიულ სისტემას ადამიანი. მათი ფსიქოტიპების შესწავლის პარალელურად კი თვალს გავადევნებთ იმ ისტორიულ წარსულსა და სინამდვილეს, რომელშიც ამ ადამიანებს უხდებათ ცხოვრება.

რომანის მთავარი გმირებისათვის ჯვარცმასა და გოლგოთას ჰგავს თითოეული დღე. მათ ან უნდა მიიტანონ დანიშნულების ადგილამდე თავიანთი ჯვრები, იცვალონ ფერი და გადარჩნენ, ან სამუდამოდ გაქრნენ. სწორედ ამ უკიდურესი მდგომარეობის საჩვენებლად მწერალი მოიხმობს ბიბლიურ პარალელს - ქრისტეს ფერისცვალებას: *„ჯვარცმამდე ცოტა ხნით ადრე ქრისტე მთაზე ასულა და ფერი უცვლია. ესე იგი, გარდაქმნილა. გარკვეული თვალსაზრისით, ჩვენც მთაზე ავდივართ ახლა, ამას ნიშნავს ალბათ ეს გაუთავებელი ტანჯვა-წვალება, და მალე ფერსაც ვიცვლით, (გარდავიქმნებით) რათა უკვე საბოლოოდ ვეცვათ ჯვარს. ამინ. ამინ. დროა. კირიე ელეისონ. ან აღვსდგებით, ან არა.“* [ო.ჭილაძე 2016: 316] ეს სიტყვები შეგვიძლია ავიღოთ ორიენტირად და დავაკვირდეთ პერსონაჟთა ფერისცვალების განსხვავებულ და მრავალფეროვან გზებს.

ოთარ ჭილაძის შემოქმედებას განსხვავებული მკითხველი სჭირდება. მისი ნაწერები მხოლოდ იმისთვის არაა, რომ ადამიანმა სიამოვნება მიიღოს. ყოველი გვერდი განსჯასა და ფიქრს საჭიროებს. „აველუმი“ არის წიგნი, სადაც ვხედავთ, როგორ იღუპება საქართველო. ესაა რომანი, რომლის მეშვეობითაც მკითხველს შეუძლია, წარმოიდგინოს ყველა იმ ქვეყნის ბედი, რომელიც საბჭოთა კავშირის საზღვრებში იყო მოქცეული.

საუკუნეების მანძილზე ემუქრებოდა საფრთხე ჩვენს ტერიტორიას, ენას, სარწმუნოებას, ზოგადად ეროვნულ იდენტობას და საბოლოოდ კი, მეოცე საუკუნეში, ჩვენი სხეულები უკვე ფეხდაბიჯებული სისხლითაა გაჟღენთილი. ესაა აველუმისა და მისი მთელი თაობის (და არამარტო) ტრაგედია. ამიტომ აველუმმა საკუთარი თავი უნდა გადაარჩინოს როგორმე, რომ ამ გადარჩენით ოდნავ მაინც შეუმსუბუქოს შვილს მომავლისაკენ სავალი გზა. “*რამდენი რამე უნდა გახსოვდეს, რომ არ დანებდე მტერს არასოდეს“,* [ო.ჭილაძე 2016: 59], წერს ოთარ ჭილაძე ჩანაწერების რვეულში და მისსავე რომანებში ვხედავთ, რომ მთავარი გმირებისთვის წარსულის მახსოვრობა ხშირად გადარჩენის ტოლფასია. მისმა გმირებმა იციან, *„დავიწყება დამარცხებას ნიშნავს.“* [ო.ჭილაძე 2016: 59] აველუმის მეხსიერების ფართო, გრძელ საფეხურებზეც დალექილია მისი წარსულის ტკივილები. ეს ტკივილები ტანჯავს მთელი ცხოვრების განმავლობაში, მოსვენებას უკარგავს, მოძრაობისაკენ მოუწოდებს.

როგორ აჩენს უზნეობას იმპერიული სივერაგე, რა კვალს ტოვებს რეპრესიული სისტემა ადამიანის სულზე და რას აკეთებს ის ამ ტრავმის დასაძლევად? ამ და სხვა კითხვებზე პასუხების პოვნა შეგვიძლია რომანში „აველუმი“. ამ რომანში იმ კითხვებზე პასუხებსაც ვიპოვით, დღეს რომ უნდა აწუხებდეს საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს. რატომაა ჩემი ქვეყანა ამ მდგომარეობაში? იმიტომ, რომ კაშელების სამი თაობის ნამოქმედარის, კაენისაგან აბელის მოკვლის, (აქ ვგულისხმობთ მხოლოდ და მხოლოდ აფხაზეთის ომს) შედეგებს დღემდე ვიმკით და მხოლოდ ერთი ანტონის თავგანწირვა არაა საკმარისი ამ ყველაფრისათვის. (რომანი „გოდორი“)

„დაფიქრდით, ხალხო, რა დღეში ვართ და რას დავემსგავსეთ!“- გვაფრთხილებს აკაკი ბაქრაძე.

ფაქტების საილუსტრაციოდ ვრცელ ამონარიდს მოვიყვანთ: „განუკითხავად და დაუზოგავად გაგვჟლიტეს 1924 წელს!

გაგვაღატაკეს და გადაგვასახლეს კოლექტივიზაციის პერიოდში.

1936-38 წლებში ციხეებსა და ციმბირის კატორღაში ამოწყვიტეს ქართველი ხალხის დიდი ნაწილი.

1941-45 წლების ომის დროს კავკასიონის ხევები ამოავსო ქართველთა გვამებმა. ყირიმთან ზღვა შეადედა და აღმოსავლეთ ევროპის ველები დაფარა ჩვენი ბიჭების ცხედრებმა. ომის მერე დაჭერების და გადასახლების ახალმა ტალღამ წაგვლეკა.

1953 წლის შემდგომ ხრუშჩოვმა ციმბირში ქართველთა მთლიანი გადასახლების გეგმა შეადგინა. მაგრამ იმდენად გიჟური იყო ეს განზრახვა, რომ მისი განხორციელება ვეღარ გაბედეს. სამაგიეროდ შინ მოგვიგზავნეს აგენტები, რომელნიც დაუღალავად გვიქადაგებენ გარუსდითო.“[ა. ბაქრაძე 2005: 18]

1956 წელსაც შეიღება სისხლით საქართველოს ქუჩები და ამ გადავლილი დღეების ფონზე გადარჩენილმა, მეხსირებადასახიჩრებულმა აველუმმა დაიკვნესა *„პაპა გაიქცა, მამა წაიქცა“*-ო.

„აველუმი“ პოსტსაბჭოთა საქართველოს რეალობას აღგვიწერს. წიგნში წარმოდგენილია მთავარი გმირის „სიყვარულის იმპერიაცა“ და „ბოროტების იმპერიაც“, სადაც, რა თქმა უნდა, სიყვარულის იმპერია ვერ აშენდება. აველუმს არ უწერია ბედნიერება არც სონიასთან, არც ფრანსუაზასთან და არც მელანიასთან. დროა ასეთი, სიყვარულის და ღმერთის ადგილი არ დაუტოვებიათ არსად. ადამიანებმაც მხოლოდ იმისთვის უნდა იბრძოლონ, რომ გადატანილი დღეების შიშები დათრგუნონ, განთავისუფლდნენ. ამის შემდეგ კი უკვე ექნება აზრი „სიყვარულის იმპერიის“ შენებას. აველუმი არ დგას ქუჩაში თანამოქალაქეებთან ერთად, არც 9 მარტს, არც 9 აპრილს. მან ძალიან კარგად იცის, რომ სუსტია. ქუჩაში მხოლოდ მაშინ გამოდის, როცა იქ შვილს, ეკაეკატერინეკატოს დაიგულებს, 1991-1992 წლების „თბილისის ომს“ ვეღარ უყურებს თავისი ოთახიდან, სადაც აქამდე მხოლოდ წიგნს წერდა და რეალობა გადაჰქონდა ფურცლებზე. ახლა ეს მისთვის საკმარისი აღარაა.

რომანის სათაურზე, მთავარი გმირის სახელზე თავიდანვე გვესაუბრება ავტორი და გვიხსნის, რომ აველუმი შუმერული სიტყვაა, რაც თავისუფალ, სრულუფლებიან მოქალაქეს ნიშნავს. აქვე დასძენს, რთული გასარკვევია ამ სიტყვის წარმომავლობა, თუმცა ეს მის მნიშველობას სრულებით არ ცვლისო. ასევე დასაწყისში გვაფრთხილებს მწერალი, მოკლე, ლაკონიური ფრაზით მიგვითითებს მთავარ სატკივარზე: *„აბელ, თოფი იფოთლება“.* პალინდრომია, თუ გინდა უკუღმაც წაიკითხე *„მოცლილო მკითხველო“,* ეს გარდაუვალი რამ, ძმის ხელით ძმის მოკვლა გველის წინ, თოფი უკვე იფოთლება, ემზადება რომ გაისროლოს და სისხლი დაღვაროს და აქვე კიდევ ერთი გაფრხთილება: *„განსაკუთრებული სიფრხთილე მართებს ყველას, ვინც აბელად გაუჩენია ღმერთს.“* [ო.ჭილაძე 2016: 19] მკითხველი უკვე გარინდებული და შეშინებულია, ვინ გაუჩენია ღმერთს აბელად? იქნებ აველუმი? იქნებ მელანია? ან ორივე ერთად? ძალიან რთულია აველუმისა და მელანიას ერთმანეთისაგან გამიჯვნა. უაველუმოდ ვერ წარმომიდგენია მელანია და პირიქით. ეს ალბათ იმიტომ, რომ ორივე ერთ ფესვებზე ამოზრდილი, ორივე ერთი ქვეყნის შვილია.

აუცილებელია, ყურადღება გავამახვილოთ მელანიას მხატვრულ სახეზე. შევეცდებით, წარმოვაჩინოთ, რა როლს თამაშობს ის რომანში და ვაჩვენოთ, რა გავლენა მოახდინა რეპრესიულმა სისტემამ მის ფსიქოტიპზე. მკითხველს შესაძლებლობა აქვს, ერთი პატარა მონაკვეთით გაეცნოს მელანიას ოჯახს, გარემოს, სადაც ის იზრდება. მარტივი შესამჩნევია, რომ დარღვეულია მისი ოჯახის მთლიანობა. მწერალი არსად ახსენებს მელანიას დედას. ის ცხოვრობს მამასთან და ბებიასთან ერთად. გათხოვების დღეს კი ის მანტო აცვია, რომელიც ბავშვობაში პალტოს მაგივრობას უწევდა და რომელიც მერე ქვედაკაბად გადაიკეთა თვითონ. ეს არ არის შემთხვევითი ფაქტი. ავტორს სურს გვითხრას, რომ პერსონაჟი სიღარიბიდან გამოვიდა, აველუმს გაჰყვა ცოლად და ისევ სიღარიბეში შევიდა, ეს მანტოს გარდაქმნის პროცესი ასახავს მთელ ცვლილებათა სპექტრს. პარალელურად მამასთან და ბებიასთან მიბრუნებულმა (ხელისმოწერის პირველ დღეს) კი სასხვათაშორისოდ თქვა, მგონი გავხთოვდიო და *„სამუდამოდ მიჩუმდა, ერთხელ და სამუდამოდ“.* [ო.ჭილაძე 2016: 283] არც ეს „მგონი“-ა შემთხვევითი, *ხოლო* გაჩუმება ნიშნავს იმას, რომ გათხოვების შემდეგ მელანიას ერთი

დღეც აღარ უცხოვრია საკუთარი თავისთვის. მთელი ცხოვრება იმ ფრაზას დაემსგავსა, ერთ-ერთი კამათის დროს რომ ეუბნება შვილს, მე არაფერი მჭირდება, შენ თუ არ მეყოლებიო. მელანია არის ადამიანი, რომელმაც მთლიანად გააქრო და დაივიწყა საკუთარი თავი, ის გახდა მხოლოდ დედა, გადაიქცა მხოლოდ მეუღლედ. გავიხსენოთ ნაირა გელაშვილის „დედის ოთახი", სადაც დედა, მთავარი გმირი, თავისი ცხოვრების წესით გამუდმებით ცდილობს, არ დაკარგოს საკუთარი „მე" და ამბობს *„შენი სამყარო უნდა გქონდეს და არავის, არავის გააქელინო. ასეთი უფრო დასჭირდები ყველას, ვიდრე მხოლოდ სხვისით მცხოვრები და უშენთავისო".* [ნ.გელაშვილი 1987: 243] მელანიამ არსად არ დატოვა ადგილი საკუთარი თავისთვის, მისი მიზანი შვილისა და აველუმის გადარჩენა გახდა. ის საკუთარ თავზე ერთადერთხელ დაილაპარაკებს გზის ბოლოს, ერთადერთხელ ახსენებს „მე"-ს, როცა აველუმთან საუბრის დროს, ძალიან მშვიდად იტყვის მე მალე მოვკვდებიო. მხოლოდ ეს ფრაზა გამოაფხიზლებს აველუმს და დაანახებს, მთელი ამ ხნის განმავლობაში როგორ უჭირდა ამ ადამიანს.

ვფიქრობ, მიზანმიმართულად უსვამს მწერალი ხაზს იმ ფაქტს, რომ მელანია და აველუმი *„ძაღლიანი მანქანით"* წავიდნენ ხელის მოსაწერად: *„ალბათ ბევრი ქალი იტყოდა უარს, ღვინის ცარიელ ბოცოებში ჩაჭედილი, ვიღაცის ბინძურ ძაღლთან ერთად გამგზავრებულიყო გასაბედნიერებლად, ნებისმიერი ქალისთვის უაღრესად ღირსშესანიშნავ დღეს".* [ო.ჭილაძე 2016: 283] ძაღლის ერთგულება გაჰყვება სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მელანიას და გამუდმებით გაიმეორებს, რომ მას საკუთარი თავისთვის არაფერი სჭირდება. რადგან ამ ადამიანისთვის *„საკუთარი ოჯახიდან იწყებოდა სამყარო. იმდენად ჰქონდა საერთოდ მისთვის დანარჩენ სამყაროს მნიშვნელობა, რამდენადაც მისი ოჯახიც ამ სამყაროს გარკვეულ ნაწილს წარმოადგენდა. ამდენად, მისი ოჯახის სიმყარე, თავისებურად, სამყაროს სიმყარესაც ანსახიერებდა. მისი ღრმა რწმენით, თუ მის ოჯახურ სიმყარეს ბზარი გაუჩნდებოდა, სამყაროსაც იგივე დაემართებოდა. შეიძლება, მხოლოდ ამ რწენის ბრალი იყო მისი ბიბლიური მოთმინება, მისი ცხოველური სიჯიუტე..."* [ო.ჭილაძე 2016: 280] სიჯიუტე, რომლის გამოც ყოველთვის სხვას ამხნევებდა და უიმედობის გამო საყვედურობდა.

ახლა ვნახოთ, რისთვის სჭირდება მწერალს მითოლოგიური გმირის, არიადნეს გამოხმობა წარსულიდან. სანამ მთავარ სათქმელზე გადავალთ, აქვე, ისიც განვმარტოთ, რა ადგილი უკავია ზოგადად მითოსს ქართველი მწერლების შემოქმედებაში: *„როგორც ჩანს, რეალიზმის ახალმა თვალსაწიერმა, მისმა სწრაფვამ პოლივალენტობისაკენ, მის მიერ განზოგადების მეტი ხარისხის მიზნით სიმბოლიკურ-მეტაფორული აზროვნების ფართო გამოყენებამ ბუნებრივად გამოიხმო წარსულიდან და გააცოცხლა მითები. მითს მრავალგვარი ფუნქცია დაეკისრა თანამედროვე პროზაში, მაგრამ მთავარი და მნიშვნელოვანი მაინც ისაა, როგორ იქცა იმ დიდებულ ფონად, რომელზეც განსაკუთრებული სიცხადით იხატება და იხსნება დღევანდელი პრობლემები, ვნებები და ტრაგედიები.“* [გ. გვერდწითელი 1981: 296] ოთარ ჭილაძე სწორედ ის მწერალია, რომელიც მითს დღევანდელი პრობლემების წარმოსაჩენად იყენებს.

ახლა დავუბრუნდეთ არიადნეს. ის კრეტის მეფის ასულია, მინოსური ქალღმერთი, რომელსაც თავდავიწყებით შეუყვარდება თესევსი, ათენის მეფის ძე. თესევსი მინოტავრს, ლაბირინთში დაბმულ ხარ-კაცს უნდა შეებრძოლოს და ათენელები გაანთავისუფლოს მისგან. არიადნე თესევსს ძაფის გორგალს გადასცემს, რომლის საშუალებითაც თესევსი გზას გაიკვალავს ლაბირინთში და მინოტავრს დაამარცხებს. მელანია, ისევე როგორც არიადნე, ცდილობს, ძაფის გორგალი გადაუგდოს ქმარსა და შვილს, რომ იხსნას ისინი საშინელი ლაბირინთისაგან, იმპერიის დაჭაობებული სენისაგან. გარდა ამისა, ვფიქრობთ, ამ ძაფის გორგალს სხვა დანიშნულებაც აქვს რომანში. სავარძელი, რომელშიც მელანია ჩაჯდებოდა ხოლმე საქსოვი ძაფითა და ჩხირებით, ერთადერთი ადგილია, სადაც გმირი უსასრულოდ იმეორებს *„განცდილსა და გადატანილს“,* სადაც საკუთარ ცხოვრებას, ანუ საკუთარ თავს იხსენებს. თითქოს იმ ბადეს ქსოვს, რომელსაც გადააფარებს თავისი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან დღეებს და დაიცავს გაქრობისაგან. მაგრამ ვეღარ ახერხებს, რადგან არც შვილი ამოუდგა გვერდით და არც ქმარი, მან თავად გააქრო საკუთარი თავი და ამიტომ ვეღარ ამჩნევდა ვერცერთი! ის კი მაინც, ჩვეული სიჯიუტით, ვინ იცის მერამდენედ, *„ფარული იმედით, მერყევი რწმენით ფიქრობდა მოთმინების აუცილებლობაზე, მიტევების მადლზე, ქმარ-შვილის შესაძლებელ დაბრუნებაზე...“* [ო.ჭილაძე 2016: 297] თუმცა, ძალიან რთული გამოდგა მარტოსული ადამიანის შერკინება

მინოტავრთან. მელანია დაიღალა, ერთ-ერთ ჩვეულებრივ საღამოს, ანუ როცა გარეთ ისროდნენ და შინ მელანია ქსოვდა, წამოდგა სავარძლიდან, კეფაზე ხელი მოისვა და უგონოდ დავარდა. მკითხველმა ყურადღება უნდა გაამახვილოს ამ ეპიზოდზე, მელანიას კალთიდან გადმოვარდნილი ძაფის გორგალი კარისაკენ გაგორდება და მწერალი პირდაპირ ამბობს, კარისკენ გაგორდა, თითქოს ლაბირინთიდან გამოსასვლელი გზა მიანიშნა ადამიანებსო. ეს არა მხოლოდ რომანის პერსონაჟებისთვის განკუთვნილი მინიშნებებია, არამედ უპირველესად მკითხველისთვის, მწერალი აღადგენს ეპოქის სულიერ პორტრეტს და სათქმელს ამ ხერხის მეშვეობით ბევრად მკაფიოდ გამოხატავს: მელანია მსხვერპლია რეპრესიული სისტემისა, რომელმაც საკუთარი „მე"-ს დათრგუნვით, გაქრობით ეკაეკატერინეკატოსა და აველუმს მომავლისაკენ გასაგრძელებელი გზა აჩვენა.

მეტად საინტერესო და უჩვეულოა მელანიასა და აველუმის ქალიშვილის, ეკაეკატერინეკატოს პიროვნება. პირველ რიგში, ყურადღება უნდა გავამახვილოთ მის სახელზე. ოთარ ჭილაძე რომანის უკანასკნელ გვერდებზე გვიხსნის სახელის მნიშვნელობას, აველუმმა, კონსპირაციის მიზნით, ერთ სახელად გააერთიანა დის სახელის ყველა შესაძლო ვარიანტი და შვილს დაარქვაო. ეკაეკატერინეკატო სამი ადამიანის, სამი ქალის სახელს იტევს. ვფიქრობ, ეს სახელი აერთიანებს ყველა იმ ადამიანს, რომელიც აველუმს უნდა გადაერჩინა. იქნებოდა ეს გაშვილებული და, საფრანგეთში მომლოდინე ფრანსუაზა თუ ერთგული მელანია. აველუმმა კი მხოლოდ შვილის გადარჩენა შეძლო, იმიტომ, რომ მხოლოდ „თბილისის ომის" დროს გავიდა გარეთ, იქ, სადაც შვილი ეგულებოდა, რადგან მხოლოდ ამ დროისათვის მოახერხა მეხსიერებაში დალექილი წარსულის, მისგან მოყენებული ტკივილებისა და შიშების წინააღმდეგ გაბრძოლება.

დაკვირვების კვალდაკვალ მკაფიოდ გამოიკვეთება, რა მდგომარეობამდე მიიყვანა ეკაეკატერინეკატო რეპრესიულმა სისტემამ და შემდეგ უკვე შევძლებთ განვაზოგადოთ ეს ყველაფერი, დავინახოთ, რას გრძნობდა და განიცდიდა მთლიანად „შვილების თაობა" ამ ეპოქაში.

ომის სუნით გაჟღენთილი ქუჩები აველუმის შვილს არ აშინებს, მიუხედავად იმისა, რომ 9 აპრილს მისი ჯანმრთელობაც ეწირება, მიუხედავად იმისა, რომ ის ძალიან კარგად იაზრებს საკუთარ მდგომარეობას და თამამად ამბობს *„მე ხომ სამუდამოდ ავად ვარ დედა!“.* ეკაეკატერინეკატო თავიდანვე შეპყრობილია თავისუფლების, გაფრენის დაუოკებელი სურვილით, სწორედ იმიტომ, რომ ის აველუმის შვილია, აველუმმა ჩაუნერგა მას ფრთებზე ოცნება. თუმცა, მან არ იცის, რომ თავისუფლება, უპირველეს ყოვლისა, სულის თვისებაა. ეკაეკატერინეკატო იმ თაობის სახე და ნათელი მაგალითია, რომელიც ვეღარ იტანს არსებულ სიბინძურეს. თავზარდაცემულია და ყველასა და ყველაფერს ადანაშაულებს, რომ ის ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანეს. თუ ყურადღებით დავაკვირდებით, მწერალი რამდენჯერმე (მიზანმიმართულად) იმეორებს, რომ სახლში დაბრუნებული ეკაეკატერინეკატო ადგილს ვერსად პოულობს და იატაკზე ჯდება ოთახის კუთხეში. ადამიანი, რომელსაც გაფრენა სურს, სახლში დაბრუნებული იატაკზე ჯდება, დაბლა ეშვება, რაღაცას და ვიღაცას ემალება. ე.ი მას ფრთები დამტვრეული აქვს, ფრენა კი არა, სიარულიც არ შეუძლია. იატაკზე დამჯდარი კი თვალს უშტერებეს კარადის ქვეშ შეგორებულ ტენისის ბურთს. მკითხველს ეძლევა საშუალება სხვადასხვა ინტერპრეტაცია მოუძებნოს ამ ბურთს. ჩვენ კი ერთ-ერთ ვარიანტს შემოგთავაზებთ: კარადის ქვეშ, სიბნელეში შეგორებული ბურთი შესაძლოა, ეკაეკატერინეკატოს ბავშვობა იყოს, უდარდელი დღეები, რომელიც დასრულდა და აღარ დაბრუნდება. სწორედ ამიტომ ეუბნება ის მშობლებს, რა გინდოდათ, მეთამაშა, რატომ მომაშორეთ ძალით იქაურობასო.

ძალიან მნიშვნელოვანია ისიც, რომ ეკაეკატერინეკატო იცვლის გვარს და მამის კითხვაზე თუ რატომ მოიქცა ასე, გულახდილად პასუხობს, რომ დამალვა უნდოდა მისგანაც და ხელისუფლებისგანაც. ნათელი ფაქტია, ის ოთახის კუთხეში შეყუჟვითა და გვარის გამოცვლით ემალება იმ რეალობას, რომელშიც ცხოვრობს. უარს ამბობს როგორც ხელისუფლების, ისე მამის გზაზე, რომელსაც ეუბნება, ჩემი არასდროს ყოფილხარ, თუმცა ყოველთვის ჩემი მეგონეო. აქვე: *„საბედნიეროდ, შენი გაყოფაც შესაძლებელი ყოფილა, როგორც ზარის ხმისა მსმენელთა შორის“.* [ო.ჭილაძე 2016: 279] საინტერესო დეტალია, აველუმი იმ ზარის ხმად უნდა გადაიქცეს შვილისათვის, რომელიც ადამიანებს, მსმენელებს რაღაც სიახლის, სიკეთის, სინათლის დაწყებას ამცნობს. ეს

მომავალში, ჯერ-ჯერობით კი გაწყვეტილია აველუმსა და ეკაეკატერინეკატოს შორის სასაუბრო ენა. მამა ვერ საუბრობს ისე, რომ შვილმა გაუგოს. ამოუხსნელია მისი ქმედებები შვილისათვის, რადგან *„მამები თავისუფლებისა და გადარჩენის კოდის შემნახველნი არიან, მაგრამ ვერშემსრულებელნი. შეფიცულები, მაგრამ უმწეოები, შესრულების შეუძლებლობით დაუძლურებულნი. ოპოზიცია ჩნდება იმიტომ, რომ შვილებმა არ იციან კოდი და ვერც მამებისაგან გებულობენ გადარჩენის სადუმლოს. სწორედ ამის გამო, ყოველ მამაში არის ის, რაც მას დამნაშავის მდგომარეობაში აყენებს შვილის წინაშე და ყველა შვილში არის ის, რაც სინანულს აღძრავს მამის წინაშე.“* [მ.კვაჭანტირაძე 2008: 247]

ეკაეკატერინეკატო იმ გოგო-ბიჭების თანამებრძოლია, რომელთაც *„დიდი გადაფრენის ჟამი დასდგომიათ მოულოდნელად, სამოცდაათწლიანი უიმედო მოლოდინის შემდეგ“* . ის მზადაა გაფრინდეს თუნდაც ხელოვნური ფრთებით და მერე დაენარცხოს თანამებრძოლთა სისხლით შეღებილ გზებზე. მზადაა იმიტომ, რომ ლაბირინთის სიბინძურეში სიარული აღარ შეუძლია. მსხვერპლია იმპერიის სიბინძურისა.

უფრო ნათელი და ახლობელი რომ გახდეს ჩვენთვის რამ მიიყვანა ეს ადამიანები ამ მდგომარეობადე, მივყვეთ მწერლის ჩანაწერებს, რომელიც დეტალურად აღწერს ისტორიული დღეების ქრონოლოგიას. 1989 წელი:

’’4 აპრილს დაიწყო ახალი გამოსვლები. გრძელდება შიმშილობა და გაფიცვა!!!“

„7 აპრილი. ისევ დიდი განსაცდელის წინაშე აღმოვჩნდით. ისევ დაიძაბა ქალაქში (ქვეყანაში) მდგომარეობა, ცირკთან ჯავშნიანი მანქანები დგანან...“

„8 აპრილი. დღეს ტანკი შევარდა რუსთაველის პროსპექტზე-ახალგაზრდები დაუწვნენ წინ!..

...ხვალ უარესია მოსალოდნელი!“

„9 აპრილი. დილის 4 საათზე ჯარის სპეციალურმა ქვედანაყოფებმა ნიჩბებითა და კეტებით დაარბიეს გაფიცულები-უფრო სწორად, ამოხოცეს, განურჩევლად, გაუფრხთილებლად, სრულ სიბნელეში, მათთვის სულერთი იყო თერთმეტი წლის ბიჭიცა და ოთხი თვის ფეხმძიმე ქალიც!“ და ბოლოს *„9 აპრილს მთავრობის სასახლის წინ ორი სატვირთო მანქანა ფეხსაცმელი მოაგროვეს....“*[ო.ჭილაძე 2010: 110]

ახლა ვნახოთ, როგორაა აღწერილი ეს რეალური ფაქტები „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე: *„სოსო პაიჭაძის ნაამბობიდან: ცხრა აპრილს, სისხამ დილით გავედი მთავრობის სახლთან. შემზარავი სანახაობა გადამეშალა თვალწინ, კიბეებზე, ქვაფენილზე, ქუჩებზე, მარადმწვანე ბუჩქებზე, ყველგან და ყველაფერზე, რასაც მზერა წვდებოდა, მიმოფანტულიყო ტანსაცმლის ნაგლეჯები, ფეხსაცმელები, ძირითადად ქალების, ქუდები, ქაღალდის ნაკუწები, ერთმანეთში არეული, ალუფხული, ხელჩანთები, ხელჩანთებიდან წამოყრილი სავარცხლები, პატარა სარკეები, ცხვირსახოცები, თავსაფრები, გაზეთების ნაფლეთები, დანაკუწებული ქურთუკები, პარფიუმერიის ნამსხვრევები, ნაირგვარი ფერის ქსოვილის ნახევები, ბიჟუტერია. ასფალტზე ჯერ კიდევ ჩანდა ჯავშნიანი მანქანების მუხლუხების კვალი, ქვაფენილზე კი შემზარავად მბზინავი სისხლის ლაქები. აშკარა იყო, რომ აქ ურჩხულმა ჩაიარა, ბოროტების იმპერიის მინოტავრმა, სტომაქი ამოიყორა და გასცილდა აქაურობას. ყველაზე მეტად სიმღერის ხმა აღიზიანებდა და შეკრებილთა შეძახილები, თავისუფლების უსაზღვრო რომანტიკით აღსავსე გულთა ფეთქვა, ამოუხსნელ ძალას რომ გაემთლიანებინა, ამიტომაც სისხლმოწყურებული და გაბოროტებული სასტიკად უსწორდებოდა იქ შეკრებილ ადამიანებს: ჩეხავდა, წამლავდა, ანადგურებდა, ბოლოს უღებდა. სარკის ნამცეცები და შემხმარი სისხლის ლაქები უცაბედ სხივს ირეკლავდნენ. სივრცეს თუ მიაყურადებდი, შეიძლება კაცს გაეგონა კიდეც კვნესის, შეძახილის, ყვირილის, მთვრალ ნიჩბოსანთა გინების შორეული ექო, რომელიც აქვე, ამავე ჰაერში ჩაკარგულიყო და ახლა მათ ნაცვლად - მთელი ქუჩა, ქვაფენილები, კიბეები, შენობათა კედლები, მიმოფანტული ტანსაცმლის ნაფლეთები მთელი ხმით ყვიროდა.“* - ეს ვრცელი ეპიზოდი სასტიკი რეალობის დასანახად მოვიხმეთ, ვფიქრობთ მოკლე ნაწყვეტი ასეთ ერთიან სურათს ვერ მოგვცემდა.

დავუბრუნდეთ რომანის მთავარ გმირს, აველუმს. დავინახოთ, რა გზები გამოიარა მან მელანიასთან და შვილთან ერთად. როგორ შეცვალა მისი სულიერი სამყარო და რა კვალი დატოვა მის მეხსიერებაზე რეპრესიულმა სისტემამ.

მთელი რომანი აველუმის სვლა და მზადებაა ერთადერთი მიზნისაკენ. მისი მთავარი მისია შვილის, მომავალი თაობის გადარჩენაა. აველუმი მწერალია, ის წიგნს წერს. სადაც

იმ რეალობას აღწერს, რომელშიც ცხოვრობს. აღწერს, როგორ აჭრიან ფრთებს ახალდაბადებულ ბავშვებს, რომლებიც ჯერ კიდევ დაბადებამდე შესძულებიათ და როგორ ემუქრება წალეკვით მათი სისხლი ყველასა და ყველაფერს. ვნახოთ, რას გვეუბნება ოთარ ჭილაძე მწერალი აველუმის შესახებ: *„ყველა მისი გმირი ერთი და იგივე პიროვნებაა, ოღონდ სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები და დროის შესაფერისად ფერშეცვლილი. ხოლო ის „ერთიდაიგივე პიროვნება“ თვითონვეა, რამდენადაც ყველა მწერალი, ყოფილიც და არსებულიც, როგორც არ უნდა მიუკიბ-მოუკიბოს ახალგამომცხვარ ინტერვიუერს თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფია, მაინც იმას აღწერს, რაც უნახავს და მაინც იმას ხატავს, ვისაც კარგად იცნობს.“* [ო. ჭილაძე 2016: 481] მკითხველს მუდმივად ეძლევა საშუალება, რომ აველუმი და ოთარ ჭილაძე გააიგივოს ერთმანეთთან.

გაქცეული პაპა, წაქცეული მამა, გაშვილებული და, ხელოვნურ ფრთებშემოსხმული შვილი, ეს ყველაფერი აველუმის ტრავმების მიზეზია. აველუმმა კარგად იცის, რომ ორმო ძალიან ღრმაა. ან უნდა ჩავარდე და გაქრე, დაიკარგო, ან უნდა გადარჩე. სხვა გზა არ არსებობს.

მკითხველი ხვდება, რომ ალეგორიულია შეკითხვა, რომელსაც ავტორი რომანის დასაწყისში სვამს: *„რამდენი წუმპეჩამდგარი ორმო იყო ჩემს დროს თბილისში და როგორ ახერხებდნენ ერთი და იგივე გამვლელები ერთსა და იმავე ორმოებში ჩაცვენას უსასრულოდ?!*' [ო.ჭილაძე 2016: 6]

აველუმს კარგად ახსოვს 9 მარტის ტრაგედია და საკუთარ ოთახში შეყუჟულს ბრბოდ ეჩვენება იმ ადამიანთა ჯგუფი, ვინც ახლა ქუჩებში ხმამაღლა გაჰკივის და ისე ითხოვს თავისუფლებას. მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან, სამწუხაროდ, მსგავსი დემონსტრაციები, გამოსვლები, აქციები ხალხის დიდ ნაწილს ბრბოდ აქცევს ხოლმე, მაინც მგონია, აველუმი აუცილებლად უნდა მდგარიყო მათ გვერდით! იმიტომ, რომ ის ადამიანები თავისუფლებას ითხოვდნენ. არ უნდა დაკვირვებოდა გარინდებული თავისი კედლებიდან ამ ყველაფერს და მერე, მთელი ცხოვრება აღარ დატანჯავდა 9 მარტს მოკლული ბიჭისა და მისი მამის ტრაგედია! სინდისი უფრო სუფთა ექნებოდა. ამიტომ ვერ ივიწყებს იმ ბიჭის სხეულს, დამტვრეულ ფეხს, სისხლის გუბეს, რომელთანაც გვიან მივიდა

და ვეღარ გადაარჩინა იმ ღამეს, მარტო საქართველოსათვის რომ არ ყოფილა ტრაგიკული და რომელმაც მწერალს ათქმევინა, კაცობრიობის პანაშვიდს ვესწრებითო.

მივყვეთ ფაქტებს: არარსებული ბავშვობა, გადასახლებული მშობლები, სიბინძურისაგან აშმორებული სადარბაზოები, გაუცხოებული კანონიერი თუ უკანონო შვილები. ეს აველუმის ცხოვრებაა. აველუმისა, რომელმაც იცის, რომ უნდა გადაარჩინოს დაც, ცოლიც, საყვარლებიც, შვილებიც, შვილიშვილიც. იცის, მაგრამ ძალას ვერ პოულობს ვერსად.

აველუმის მეხსიერებაში ძალიან მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ელექტრონის ბოძს შემოხვეული ახალგზარდა ბიჭის დანახვა, რომელიც შველას ითხოვდა. მან ვერ გაიგო ბიჭის სახელი და გვარი, რომელსაც სახე აღარ ჰქონდა, აღარ ჰქონდა ერთი ფეხი. ანუ აღარავინ იყო, უსახელო, უსახო, რომელიც სიარულს ვეღარ გააგრძელებდა. რომლის სისხლისაგან დაყენებულ გუბეში მშობელმა მამამ უნდა ჩადგას ფეხი შემთხვევით და სიმწრისაგან გული შეუწუხდეს! იქნებ ეს ბიჭი აველუმიცაა, მთლიანად აველუმის თაობა, რომელსაც სურდა თავისუფლება, მაგრამ ვერ მოიპოვა. რომანში ხშირია მრავალშრიანი ასპექტები, რომლებიც სხვადასხვაგვარი ინტერპრტაციის საშუალებას იძლევა. შედეგად მკითხველი ხედავს, როგორ რეალობაში უწევს მთავარ გმირს ცხოვრება და უკვე იცის, რომ მისი სული, გონება, მეხსიერება ტრავმირებულია. იცის, რომ აველუმს მთელი ცხოვრების განმავლობაში მოუწევს ბიჭის სიკვდილით გამოწვეულ გრძნობებთან ბრძოლა, შიშებთან გამკლავება, სინდისის გაჩუმება. იმიტომ, რომ უნდა მდგარიყო იმ ბიჭის გვერდით, მაგრამ ვერ იდგა / არ იდგა. ეს მოვლენები ილექება მის მეხსიერებაში, სულზე და მერე მთელი ცხოვრების განმავლობაში წარმართავს მის ქმედებებსა და ფიქრებს.

სწორედ ამ აზრის ამოკითხვას შევძლებთ მწერლის ჩანაწერებში, რომელიც 1977 წლით თარიღდება: როცა კაცი რაღაცას იხსენებს, უკან არ იხევს, წინ მიდის, წარსული გადააქვს მომავალშიო. ასეა აველუმიც, თავიდან პასიური მოქალაქეა, თავს არიდებს აქციების ყიჟინას, ხშირად გარბის ქვეყნიდან, მაგრამ ყოველთვის, სადაც არ უნდა იყოს და რასაც არ უნდა აკეთებდეს, იქნება ეს საკუთარ ოთახში წიგნის წერის პროცესი თუ ფრანსუაზასთან გაქცევის დღეები, ყოველთვის გულითა და ფიქრებით დააქვს თავისი

წარსული და ვფიქრობ, სწორედ ეს წარსული, წარსულში გადაუდგმელი ნაბიჯები აიძულებს და შეაძლებინებს, რომ ის უკანასკნელ დღეებში გამოვიდეს სახლიდან, გაიაროს ტყვიების ქარ-ცეცხლში და მივიდეს შვილთან, რათა შვილიშვილს, ახალ თაობას დედა დაუბრუნოს. დაუბრუნოს რადგან *„ბავშვობაში საითაც არ უნდა გაიხედო, დედის საკინძის ღილი ციმციმებს ყველგან!!! დედის საკინძის ღილითაა შეკრული ქვეყნის უბე!! უფრო სწორად, უნდა იყოს შეკრული. დღევანდელ ცხოვრებას დედის საკინძის ღილი აკლია სწორედ!!!“* [ო.ჭილაძე 2010: 129] აველუმი ზუსტად ამ ღილს დაუბრუნებს მომავალ თაობას. ის სიკვდილის წინ, უკანასკნელ ფრაზას იტყვის *„წადი, შვილს მიხედე!“*.

აველუმი ვერ ახერხებს მშვიდად ყოფნას. საკუთარ სახლში და ქვეყანაში სტუმრად გრძნობს თავს. რადგან იქ ყველაფერი შეცვლილია, გადასხვაფერებული, მას აღარ შეუძლია ძველებურად ცხოვრება, *„თუმცა, როგორ უნდა იცხოვრო ძველებურად,როცა აღარაფერი დარჩა ირგვლივ ძველებური, თვალმა და სულმა თავისად რომ იცნოს.“*. [ო.ჭილაძე 2016: 83] ეს სიტყვები 1989 წელს დაწერილ ლექსს ეხმაინება :

„მიყვარხარ, მავრამ ამ სიტყვას დღემდე,
როგორც სისხლიან დანას ვმალავდი,
დანას, რომელიც მკვლელობის შემდეგ,
შემომაჩეჩეს ხელში ძალათი.
ახლა კი მინდა აღმომხდეს იგი.
ვით ბოლო ოხვრა მომაკვდავისა.
აღარაფერი არ დარჩა ირგვლივ,
თვალმა და სულმა იცნოს თავისად.
მოხდა, აღსრულდა, ბოლოს და ბოლოს!
დამთავრდა კიდევ ერთი ცხოვრება.
ამქვეყნად ჩვენი ის არის მხოლოდ,
რაც სამუდამოდ გვემახსოვრება.“

[ო.ჭილაძე 2009: 113]

ვიზიარებთ მეცნიერ/ლიტერატორ მანანა კვაჭანტირაძის მოსაზრებას: *„ოთარ ჭილაძის მიხედვით, ადამიანის მეხსიერება მრავალფეროვანი და რთული ტექსტია,*

რომელიც ტრავმული კვლებითაა დასერილი. სადაც არაა კვალი, იქ არაა ტრავმაც.“ [მ.კვაჭანტირაძე 2010: 366]

ამდენად, უკვე გასაგები უნდა იყოს, რამხელა მნიშვნელობა აქვს მწერლისათვის ადამიანის მეხსირებას და ამ მეხსიერებაში დალექილ სინამდვილეს. აველუმმა უნდა ზიდოს თავისი ჯვარი, ის ნიკოსავით („მარტის მამალი“) ძილს ვერ მიეცემა, მან უნდა იფხიზლოს, იტკივილოს, რადგან ახსოვს სინამდვილე და ალბათ არ იქნება ხმამაღალი ნათქვამი, თუ ვიტყვი, რომ მისი ერთ-ერთი მისია ამ სინამდვილის არდავიწყებაა. ამ ლექსში თავად პოეტსაც ვხედავ და აველუმსაც, ამ ლექსში ჩემთვის აველუმი იგივე ოთარ ჭილაძეა და პირიქით, რომელსაც სამშობლოსთვის ვერ უთქვამს სიტყვა მიყვარხარ. ის ამ გრძნობასაც იმ სისხლიანი ღამეების და მკვლელობების მოგონებებთან ერთად მალავს, რადგან ახსოვს დაღუპული ბიჭიცა და მისი მამაც. ახსოვს, რადგან პასიური ქმედებებით ეძებდა თავისუფლებას და ალბათ ამიტომაც ვერ იპოვა. დამარცხდა და ახლა თითქოს ვეღარ აძლევს თავს უფლებას, სისხლიანი მიწის ნაგლეჯებს უთხრას მიყვარხარო.

ვნახოთ, როგორ აფასებს ეკა ცხადაძე ზემოთ ნახსენებ ეპიზოდს: *„რომანში უკიდურეს შიშს იწვევს ურუსეთობა საქართველოსი: ‘’სარფის კარი გახსნილია-წინ წარსულია, ლათინური ამერიკა მოგონილი იქნება! როგორც ჩანს, ის დრო, სანამ რუსეთს გადავეყრებოდით არც საამაყოა და არც აღსანიშნავი, რადგან „ლათინური ამერიკის„ პერსპექტივასღა გვიტოვებს. სამაგიეროდ ნოსტალგიის საგანია საბჭოეთი; „უფლება აღარ გვაქვს ძველებურად ცხოვრებისა: თუმცა, როგორ უნდა იცხოვრო ძველებურად, გინდაც შეგეძლოს, როცა აღარაფერი დარჩა ირგვლივ ძველებური, თვალმა და სულმა თავისად იცნოს“,* აი, ამას კი მართლაც არ სჭირდება კომენტარი,თვალი და სული ნანატრს, შეჩვეულს, სასურველს, საბჭოურს, რუსისჩექმისებურს ვერაფერს ხედავს..„ [ე. ცხადაძე 2002: 4]

ჩნდება კითხვები, ვინ ვერ ელევა საბჭოურს? ის, ვისი წინაპარიც გადაასახლეს? ის, ვისი დაც გააშვილეს, უკიდურეს სიღარიბეში რომ არ ეცხოვრა? ის, ვინც საკუთარ სახლში და სამშობლოში თავს სტუმრად გრძნობდა? ვფიქრობთ, აველუმი ნამდვილად არაა ასეთი გმირი. მწერალი რომანის დასაწყისშივე გვეუბნება, რომ სახელი „აველუმი“ თავისუფალ, სრულუფლებიან მოქალაქეს ნიშნავს. აველუმი სწორედ ის ადამიანია, ვინც

თავისი „ქადაგებებით“ შვილს თავისუფლებაზე ოცნება ჩაუნერგა და ფრთებზე დააწყებინა ფიქრი. ვინც ძალიან კარგად იცოდა, რომ მთელი საზოგადოება მინოტავრის ნეხვში, ანუ იმპერიის სიბინძურეში იხრჩობოდა. ვინც იცოდა, რომ იმპერის ლაბირინთებში ადამიანი ვირთხას ემსგავსებოდა. აქედან გამომდინარე, არალოგიკურად მიგვაჩნია დასკვნა, რომ თითქოს აველუმში ურუსეთობა შიშს იწვევს.

ზემოთ რამდენჯერმე ვახსენეთ იმპერიის ლაბირინთები. ამ სახე-სიმბოლოს ასახსნელად მოვიყვანოთ ტექსტიდან მაგალითები. ამ გზების სიმახინჯის საჩვენებლად მწერალი ძალიან დაუფარავად და მკაცრად აღგვიწერს იმ სახედაკარგული ადამიანების ქმედებებს, რომელნიც იმპერის სიმახინჯემ წარმოქმნა. მივყვეთ ტექსტს : *„მეექვსე-მეშვიდე კლასელი ბიჭები სკოლის ეზოში, მასწავლებლის თვალწინ, დანით კლავენ თანაკლასელს, ჯინსის შარვლისა და კურტაკის გულისთვის.“*

„ბიჭუნა, რატომ მოკალი შენი თანატოლი? გშიოდა? - კითხულობს უწიგნური პედაგოგი ან უპასუხისმეგებლო მშობელი (ამას არა აქვს მნიშვნელობა), ცოტა არ იყოს შემცბარი, შეწუხებული საკუთარი უწიგნურობისა და უპასუხისმგებლობის ამ უაღრესად თვალნათელი შედეგით, თუმცა, საცა სამართალია, თვითონ ნამდვილად არ იცოდა, ამის გამო თუ უხუჭავდა თვალს ხელისუფლება მის უწიგნურობასა და უპასუხისმგებლობას.

-არა! _ მკაფიოდ, მკვეთრად, ბრაზიანად პასუხობს ქართველი, რუსი, სომეხი, უზბეკი, ლიტველი თუ მოლდაველი ბავშვი.

-ერთი და იგივე გოგო გიყვარდათ ორივეს?

-ფიჰ!

-აბა?

-არ ვიცი.ისე.“

[ო.ჭილაძე 2016: 123]

რატომ მოკალი შენი თანატოლი? გშიოდა? რა უცნაურია, რა მარტივად დასმული კითხვები და სრულიად მოულოდნელი, შეუსაბამო პასუხია: “არ ვიცი, ისე”. თან ვის თვალწინ ხდება ეს ყველაფერი, მასწავლებლისა თუ მშობლის, მაშინ როცა ვიცით, რომ ქვეყანა მანამ არ დაიღუპება სანამ დედას შვილის სისხლიანი პერანგი აცვია. („ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“) მაშინ, როცა ვიცით, რომ ნიკოს ვანო მასწავლებლის მიტანილი ლიმონის ხე რწმენას გაუღვივებს, ძალას მისცემს. („მარტის მამალი“). აქ კი მშობელს თუ მასწავლებელს ისიც აღარ ადარდებს, რატომაა მისი შვილი მკვლელი. მსგავსი მაგალითების მოყვანა სამწუხაროდ კიდევაა შესაძლებელი, იმ უზარმაზარ ლაბირინთში, რომლის დედაქალიც საბჭოთა კავშირია, პროფესორმა *„ერთ წვიმიან საღამოს კონსერვის ქილის ჟანგიანი ხუფით ყელი გამოჭრა შვიდი წლის გოგოს და ჯერ კიდევ წვიმის გუბეში მოფართხალეს, ძლივს გაახსნევინა მაგრად მომუწული მუშტი, ლითონის მანეთიანის წასართმევად. ამ ლაბირინთში ცხოვრობდა სასწრაფო დახმარების ექიმი, ათასნაირი სატკივარითა თუ ჩვენებებით გაწამებულსა და მის იმედზეღა დარჩენილ პაციენტებს ჯერ რომ ხოცავდა და მერე აუპატიურებდა, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. ამ ლაბირინთში ცხოვრობდა ის თანამედროვე კაციჭამია დალაქიც, უკვე კარგად ნასადილევმა, სანაძლეოს გულისთვის, სამი წლის ბავშვი რომ შეუჭამა მეზობლებს, თავი კი კართან დაუდო, კეფირის ცარიელი ბოთლის გვერდით.“* [ო.ჭილაძე 2016: 219-220] ასეთ რეალობაში უწევს აველუმს ცხოვრება. ასეთი ავაზაკების გვერდით იზრდება მისი შვილი. ვფიქრობ, საკმარისია მაგალითების მოყვანა იმ სინამდვილის დასანახად, სადაც ღმერთიც კი დავიწყებული და უგულებელყოფილია.

მკითხველმა უკვე კარგად იცის, როგორ სინამდვილეში ცხოვრობს აველუმი, მწერალი, ადამიანი, რომელიც სხვა დანარჩენი ადამიანებისაგან განსხვავებით ყველა დეტალს, წვრილმანს, სხვა თვალით უყურებს, აღიქვამს , გრძნობს და განიცდის.

დრო თავისი გზით მიედინება. ამასობაში 9 აპრილიც მოახლოვდება და *„ტანკების შეხმატკბილებული, შეთანხმებული გუგუნ-გრუხუნი კიდევ უფრო დააყრუებს ისედაც ყრუ ქვეყანას, უფრო სწორად, დიდი ხნით შეუბრუნებს სიყრუეს ძლივს ყურგამოჩიჩქნილსა და თვალში გამოხედილს.“* [ო. ჭილაძე 2016: 243] აქედან გამომდინარე კი ზუსტად იცის აველუმმა, რომ ეკაეკატერინეკატოს გაფრენის სურვილი ამაოდ ჩაივლის. უფრო მეტიც, ძალიან მწარედ ანანებენ თუკი მართლა გაფრინდება. ახლა ის აჯობებს, მიწაზე დადგა მყარად ფეხი, გამთლიანდე, გაძლიერდე და მერე იფიქრო ფრთებზე. მაგრამ არა, უკვე გვიანია. დააგვიანდა აველუმს. ვერც იმ პატარა ბიჭს უშველის ესკალატორს ქვესკნელისაკენ რომ მიჰყვება და ემუდარება მას *„გამატარე რა, ძია! გამატარე რა, ძია! გამატარე რა, ძია!“* გაატარებს, აღარ აქვს აზრი, ვერ ეწევა, ვერ უშველის. ბავშვის დაშვება ქვესკნელისაკენ მიგვანიშნებს იმას, რომ საბჭოთა კავშირის ლაბირინთებს და ჯოჯოხეთს აველუმის შვილი კი არა, შვილიშვილიც ვერ გადაურჩება. რომ ძალიან დიდი დრო დასჭირდება მათი დათესილი ბოროტების გაქრობას.

აველუმი მაინც აგრძელებს გზას იქით , საითაც საკუთარი შვილი ეგულება. სადაც ახლახან დაიბადა თავისუფლებაზე ფიქრი და სადაც ჯერ ისევ მძაფრად დგას სისხლისა და ცრემლის სუნი, სწორედ *„სისხლი და ცრემლია სულის სანთელი, სულის პურიცა და სულის ფრთაც, ოღონდ ჭეშმარიტი თავისუფლება ალბათ ის არის, როცა უფრთოდაც ფრენ. ეს კი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, შიგნიდანაც დაინახავს საკუთრ არსებას და გააცნობიერებს კიდეც დანახულს.*'' [ო. ჭილაძე 2016: 264]

დროა ხელი მოკიდოს აველუმმა თავის ტკივილებს, მეხსიერების სიღრმიდან დაძრულ მოგონებებს დაანახოს, რომ მომავალი ნაკლებად მწარე იქნება. ამიტომ ვერ ჩერდება ერთ ადგილზე, ამიტომ უნდა, გამოისყიდოს შეცდომები, მიუსწროს მომაკვდავ ბიჭს, მომაკვდავ ქვეყანას, რომელიც ყველა სადარბაზოში, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ელოდება! ელოდება და სწორედ მისგან ითხოვს შველას! მკითხევლი ფეხდაფეხ

მიჰყვება მთვარ გმირს მთელი რომანის განმავლობაში. მასთან ერთად დადის ტანკებით სავსე ქუჩებში, თითქოს ყოველ წამს ელოდება, რომ ნაღმი აფეთქდება და თვალის დახამხამებაში გაქრება მისი სამშობლოცა და ამდენი ტკივილის მნახველი აველუმიც. აქვე მწერალი პოეტურ სტრიქონებს გვაშველებს:

"აველუმია, ეგერ რომ მოდის?!

აველუმია, აველუმია."

[ო.ჭილაძე 2016: 329]

და მაშინვე გვახსენდება გალაკტიონის „მშობლიური ეფემერა". ეს ალუზია ლიტერატურულ კრიტიკაში უკვე შენიშნულია, თუმცა რიგით მკითხველსაც კი არ სჭირდება დაფიქრება, იმდენად თვალსაჩინოა ინტონაციური თანხვედრა :

„ამირანია? მივმართავ ტყეებს

და ტყე გუგუნებს, ამირანია".

ან ასეც

„დაკარგულია?-მივმართვ ტყეებს

და ტყე გუგუნებს, დაკარგულია"

[გ.ტაბიძე 1989: 71]

რისთვის დასჭირდა ოთარ ჭილაძეს მკითხველისთვის გალაკტიონ ტაბიძის ლექსის შეხსენება? „მშობლიურ ეფემერაში" ზუსტად ის პრობლემებია წამოჭრილი, რომელიც მწერალს მოსვენებას უკარგავს. მისთვის თავისუფლებადაკარგული აველუმი ბორკილებდადებული, მარადიულად განთავისუფლების მოლოდინში მყოფი ამირანია. ოთარ ჭილაძესაც, ისევე როგორც გალაკტიონ ტაბიძეს, საქართველოს დაკარგული თავისუფლება აღებინებს ხელში კალამს.

ორი რეალური მწერალი: ოთარ ჭილაძე და გალაკტიონ ტაბიძე-ერთიც ლიტერატურული პერსონაჟი აველუმი, - სათქმელი და თემატიკა მსგავსი, მკითხველს ისღა დარჩენია, გაიაზროს, რას ემსახურება მათი სათქმელი და რა რეალური ქმედების გამომწვევი უნდა გახდეს ეს კავშირები მის ცხოვრებაში.

„ველარ ვცნობილობ მშობლიურ ხეებს

ზამთარს ბილიკი დაუტანია..."

[გ.ტაბიძე 1989: 71]

აველუმი, ისევე როგორც ლექსის ლირიკული გმირი, ვეღარ ცნობს სამშობლოს. ჩვენ ზემოთ უკვე ვახსენეთ და კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ რომანის მთავარი გმირი საკუთარ ქვეყანაში სტუმრად გრძნობს თავს და მისთვის აღარაფერია ისეთი, „თავისად“ რომ მიიჩნიოს სულმა, გულმა, გონებამ. ის ვეღარ ცნობს სამშობლოს იმიტომ, რომ მარადიული ზამთარია გამეფებული ყველგან. აქვე აუცილებლად უნდა გაგვახსენდეს ალექსანდრე ბოლონიელი, რომელსაც რომან „გოდორში“ ვეცნობით და რომელიც ისე დაეძებს საქართველოს, როგორც აველუმი, მაგრამ ვეღარ პოულობს, იმიტომ, რომ მას ეს ქვეყანა ძლევამოსილი და თავისუფალი ახსოვდა.

ისევ გალაკტიონის ლექსს დავუბრუნდეთ :

„შეხავსებია კლდეები კდლეებს

იქ ვიღაც კვნესის დიდი ხანია.

„ამირანია?- კვლავ ვკითხავ ტყეებს

და ტყე გუგუნებს „ამირანია“.

[გ.ტაბიძე 1989: 71]

უმოძრაობამ, ერთსა და იმავე ორმოებში უთვალავჯერ ჩაცვენამ ხავსი გაუჩინა ოთარ ჭილაძისა და გალაკტიონ ტაბიძის სამშობლოს. ლექსის ბოლო სტრიქონში პოეტი იყენებს სიტყვას *„კვლავ“,* ისევ ეკითხება მშობლიურ ტყეებს, საიდან ისმის ეს კვნესა. გალაკტიონი იმედს არ კარგავს, თუკი კვნესა ისმის, ე.ი ჯერ ცოცხალია ამირანი და თუ ცოცხალია, აუცილებლად იპოვის გადასარჩენ ენერგიას. ზუსტად ასე უნდა მოხდეს აველუმის შემთხვევაშიც, საქართველოს შემთხვევაში. გავიხსენოთ, ამ თავზე საუბარი ჯვარცმითა და ფერისცვალებით დავიწყეთ. გალაკტიონიცა და ოთარ ჭილაძეც, ორივე გვეუბნება, მართალია, ახლა კვნესის ხმა ისმის დახავსებულ სამშობლოში, მაგრამ აუცილებლად დაიბადება ის (სამშობლო, აველუმი, ამირანი) ხელახლა. ფერს იცვლის ჯვარცმული ქვეყანა და უსათუოდ მიაგნებს მას ალექსანდრე ბოლონიელიც.

მაგრამ სანამ ამ გზას გაივლის აველუმი, მას ძალიან ბევრი ბრძოლა და განსაცდელი აქვს გადასატანი. ამიტომ სჭირდება, რომ ხანდახან გაექცეს ყველასა და ყველაფერს. წავიდეს მშობლიური სახლიდან შორს და თავი შეაფაროს მასზე უზომოდ

შეყვარებულ ფრანსუაზას. თუმცა, მასთანაც მხოლოდ იმას ხედავს, რომ არც საფრანგეთშია მისი ადგილი. ხედავს, რომ ვერსად გაექცევა იმას, რასაც გაურბის და ყველგან თან წაჰყვება სამშობლოს დახავსებული ბილიკების კვნესა, სადაც არ უნდა წავიდეს.

ვფიქრობ, ამ დაუსრულებელ მოგზაურობებს ძალიან მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს, მისი საშუალებით ოთარ ჭილაძე გვეხმარება დავინახოთ, თუ როგორ მიიწევს აველუმი ნაბიჯ- ნაბიჯ მიზნამდე, საკუთარ თავამდე, თავისუფლებამდე. ამ მოგზაურობებმა აუცილებლად უნდა გაგვახსენოს ჰერმან ჰესეს შემოქმედების მთავარი გმირები. ვიცით, რომ ჰესეს გმირებისათვის მშობლიურ სახლს, ბავშვობის სახლს, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. მიუხედავად ამისა, ისინი მაინც ყოველთვის მიისწრაფვიან რაღაც ახალი სამყაროსაკენ, რათა ამ მსვლელობით, მოძრაობითა და მოქმედებით აღმოაჩინონ საკუთარი თავი. მკითხველს ეს ფაქტი აუცილებლად გაახსენებს აველუმის გზებს სამშობლოდან ფრანსუაზამდე, საბოლოოდ კი ტრიანონის ბაღამდე.

იმისათვის, რომ სათქმელი უფრო ნათელი გახდეს, ვნახოთ რას წერს კრიტიკოსი რეზო ყარალაშვილი ჰერმან ჰესეს მხატვრული სამყაროს შესახებ: „ *ეს სამყარო ჰესესთან შეკრული და სტრუქტურირებულია. იგი ორ ძირითად სივცრობრივ ჯგუფად იყოფა, ორი დომინირებული სახითაა წარმოდგენილი - ეს არის „სახლი“ და „ბაღი“. პირველი მათგანი სივრცის დავიწროებისა და შემჭიდროების შედეგია და ხასიათდება შემოსაზღვრულობითა და შეუღწევლობით. მეორე - ღია და გაშლილი სივრცეა. პირველ შემთხვევაში არსებითია საზღვარი - კედელი, გალავანი, ზღუდე. მეორე შემთხვევაში ამგვარი შემომსაზღვრავი ხაზის არარსებობა, უსაზღვროება. ორივე ეს სივრცობრივი ჯგუფი ერთმანეთთან ორმხრივ მიმართებაშია, ისინი კიდეც უპირისპირდებიან და ამასთანავე ავსებენ ერთმანეთს.„* [რ. ყარალაშვილი 1997: 139] *„კედელი, გალავანი, ზღუდე“* ეს სიტყვები აუცილებლად გაახსენებს მკითხველს აველუმის სამშობლოს, სახლის მდგომარეობას. უსაზღვრო სივრცეებმა კი პირველ რიგში „მზის ამოსვლის კუნძული“ უნდა გაგვახსენოს რომანიდან, სადაც აველუმს ფრანსუაზას მშობლებთან ერთად უნდა დაესვენა, შემდეგ კი ტრიანონის ბაღი, სადაც ცაცხვის ხეზე დაუსრულებლად უსტვენს ჩიტი.

აქვე აღნიშნავს მკვლევარი, რომ „სახლი“ ეს არის ადგილი, რომელიც ადამიანისათვის ასოცირდება სითბოსთან, სიმყუდროვესთან. ადგილი, რომელთანაც ადამიანი სულიერადაც დაკავშრებულია: *„ათასობით უხილავი ძაფი გვაერთიანებს ჩვენი საცხოვრებლის ყველაზე იდუმალ კუნჭულებთან - სარდაფებთან და საკუჭნაოებთან, ჩაბნელებულ კუთხეებთან და სადღესასწაულო ოთახებთან. ამიტომ ჩვენ ზოგჯერ ჩვენს თავს ვაიგივებთ სახლთან, ოთახთან, ბინასთან, რომელშიც ვცხოვრობთ და რომელსაც „ახსოვს“ ჩვენი ოდინდელი მწუხარება თუ სიხარული, ჩვენი ყველაზე სანუკვარი განცდები“.* [რ. ყარალაშვილი 1997: 139] ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, რამხელა მნიშვნელობა აქვს ოთარ ჭილაძისა და მისი გმირებისათვის მეხსიერებას, ზოგადად ხსოვნას. მანანა კვაჭანტირაძე ოთარ ჭილაძეზე გვეუბნება, იმ სახლის კარის ჭრიალიც კი ესმოდა, მის გაჩენამდე რომ დაინგრაო. საინტერესო დეტალებია. ერთგან სახლს „ახსოვს“ ადამიანი, მეორე შემთხვევაში პირიქით. მაგრამ მაინც, ორივე შემთხვევაში გმირი ტოვებს ამ სახლს და იმ ბაღისკენ მიემართება, სადაც საბოლოოდ უნდა იპოვოს საკუთარი თავი.

რეზო ყარალაშვილის შეფასებით, ჰესეს გმირები გზას „სახლიდან“ „ბაღამდე“ მიჰყავს თავისუფლებამდე. საკუთარი თავის აღმოჩენამდე. ეს სივრცე *„სასწაულებრივ, მაგიურ სივრცედ მოიაზრება, რომელშიც შინაგანი მოვლენები აირეკლება და რომელსაც შეუძლია მოიცვას სრულიად დაშორებული ეპოქები, ყველაზე შეუთავსებელი სივრცეები.“* [რ. ყარალაშვილი 1997: 151] გარდა ამისა *„ბაღი - ეს არის „თავგადასავალთა ქვეყანა“, უზარმაზარი საიდუმლო, მოულოდნელი აღმოჩენა, რომელიც თვით ცხოვრების სათავეებთან მისასვლელ კარს გიღებს.“* [რ. ყარალაშვილი 1997: 147] დავუკვირდეთ, ზუსტად ტრიანონის ბაღში გაიხსენებს აველუმი *„დაშორებულ ეპოქას“* და ფრანსუაზას ეტყვის, მე და შენ იმიტომ ვერ ვიქნებით ერთად, რომ შენმა წინაპარმა წლების წინ, ზუსტად ამ ბაღიდან გაისტუმრა უარით ჩემი წინაპარიო. ეს „ბაღი“ აღმოჩნდება ის ადგილი, სადაც აველუმი ერთხელ და სამუდამოდ გაიაზრებს, რომ ის თავისი „სახლის“ გარდა ვერსად შეძლებს ყოფნას, არსებობას. სწორედ ტრიანონის ბაღში მივა ერთხელ და სამუდამოდ იმ დასკვნამდე, რომ მისი ტკივილების გაზიარება და გაგება მხოლოდ მელანიას შეუძლია. აქედან წამოსული, სამშობლოსაკენ მიმავალ თვითმფრინავში მყოფი კი შეძლებს, რომ ილოცოს. *„ის კი ლოცულობდა, უთავბოლოდ, უმისამართოდ. ყველასთვის*

ლოცულობდა, იცნობდა თუ არ იცნობდა, უყვარდა თუ სძულდა, ცოცხალი იყო თუ მკვდარი. ერთნაირად მხურვალედ, ერთნაირად მონდომებული, მოწადინებული ლოცულობდა ორმოცდათექვსმეტში, შარდის სუნით აქოთებულ სადარბაზოში გარდაცვლილ ბიჭზეც და ზღვის ნაპირას მონებივრე, მამის ნაყიდ ჭრელ ტრუსიკში „გამოპრანჭულ“ გოგოზეც...“ [ო.ჭილაძე 2016: 424] აქ უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ აველუმი გარდაიქმნა, შეიცვალა. საკუთარ თავს დაუბრუნდა. აველუმი იმ ეპოქის შვილია, რომელშიც ღმერთის ადგილი აღარ დატოვეს. მან კი მაინც შეძლო და ილოცა, ყველა მიჯნასა და ზღვარს გასცდა და თვითმფრინავის სავარძლის გვერდით დაიჩოქა კიდეც. ყურადღება მივაქციოთ, მწერალი გვეუბნება, დაიჩოქა და ცალი ხელი სავარძლის სახელურისათვის ისე ჩაეჭიდა, ეგონა, თუ გაუშვებდა, სამუდამოდ გაქრებოდა და დაიკარგებოდაო. ეს სახელური ახლა მისთვის ყველაზე სანდო საყრდენია. აველუმმა, ჰესეს გმირების მსგავსად, „სახლიდან“ „ბაღამდე“ მოგზაურობებით საყრდენი იპოვა. საკუთარ თავს მიაგნო. საბოლოოდ გაიაზრა სადაა მისი ადგილი და მთელი გულით ილოცა იმ ადამიანებისათვის, ვის დაცვასაც ცდილობდა მთელი ცხოვრება. ვფიქრობთ, ეს სწორედ იმ ფერისცვალების დასაწყისია, რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ.

ამდენად, მკითხველისათვის ნათელი უნდა იყოს ოთარ ჭილაძისა და ჰერმან ჰესეს მხატვრულ სამყაროებს შორის არსებული პარალელები. კრიტიკოსი რეზო ყარალაშვილი ამბობს: *„ჰესეს ყველა რომანი „სულის ბიოგრაფიაა“ , სადაც ადამიანის შინაგანი სრულქმნის პროცესია ასახული.“* [რ. ყარალაშვილი 1997: 138] ასეთი *„სულის ბიოგრაფიაა“* ოთარ ჭილაძის რომანებიც, სადაც ადამიანები მარადიულად მიილტვიან თავისუფლებისაკენ და ეძებენ საკუთარ თავს.

ამ ყველაფრის შემდეგ რაღაც მნიშვნელოვანი უნდა მოხდეს. ვფიქრობთ, ამიტომაც უსვამს ოთარ ჭილაძე რომანის ბოლოს ხაზს იმას, რომ ეს წელი იწურება და მალე ახალი წელიწადი დადგება. ამ დეტალმა მკითხველში იმედი უნდა გააჩინოს. ადამიანს, როგორ ცუდ დღეშიც არ უნდა იყოს ის, ყოველთვის აქვს ხვალინდელი დღის იმედი, ხშირად გვემართება ხოლმე, ჯიუტად ჩავუთქვამთ და საკუთარ თავს ვუმეორებთ, რომ ყველაფერი ცუდი ძველ წელს გაჰყვება, ახალი კი შემოიტანს უფრო მეტ სინათლეს. მწერალი ამის მზაობას გვიქმნის რომანში, ახალი წელი დგება და სიზმარ-ცხადში დაკარგული აველუმი

ფეხზე უნდა წამოდგეს, დათრგუნოს ყველანაირი შიში და წავიდეს მომავლისაკენ, შვილისაკენ. *„კარზე აკაკუნებენ. სარკმელზე ფარდის ჩამოშვება დავიწყებიათ და ჩანს, როგორ მიფრინავენ მანათობელი ტყვიები ერთმანეთის მიყოლებით, „ივერიიდან“ მთავრობის სასახლისაკენ და მთავრობის სასახლიდან „ივერიისაკენ“. დღისით ამ ორ „სამიზნეს“ შორის კვამლის მაღალი სვეტია აღმართული. ახლა კვამლის სვეტი არ ჩანს-ღამის წყვდიადსაა შეხამებული-თუმცა ხანძრის გამონაშუქით გაფერმკთალებული ღამის წყვდიადიც, ღამის წყვდიადზე მეტად, კვამლსა გავს, ოღონდ ძლიერი, ყოვლისმომცველი ხანძრის მაუწყებელს*“. [ო.ჭილაძე 2016: 317] არც თუ ისე სახარბიელო, იმედის მომცემი დასაწყისია ბოლო თავისა, თან დეკემბრის ბოლო ღამეა, ხვალ ახალი წელია როგორი იქნება ხვალინდელი დღე, თუკი დღეს ტყვიების ზუზუნი ყველაფერს ფარავს? კარზე აკაკუნებენ..სად, რომელ კარზე? სადაა აველუმი? სიზმარია თუ სინამდვილე? ვნახოთ რას წერს ამ ხმაზე მანანა კვაჭანტირაძე: *„კაკუნის ხმა აველუმში რეპრესირებულ მეხსიერებაში გაძევებული, ჩასაფრებული ტერორის ხმაა. იგი ტოტალიტარული რეჟიმის რეპრესიებთან ასოცირებულ, შიშისა და სიკვდილის დაშიფრულ ფონოგრამას წარმოადგენს, რომელიც ერთდროულად აღძრავს 56-ის ტრაგიკულ მოგონებებსაც და ინახავს 37-ის გაუცნობიერებელ ხსოვნასაც“.*

კარზე კაკუნი. ქუჩებში ტყვიების ზუზუნი, ბინძური ქარის ქროლვა, ხეებიც კი ვერ უწვდენენ ერთმანეთს ტოტებს და სიმწრისაგან, სიგიჟისაგან ლამის იკივლონ. ურჩხულის წელიწადი მთავრდება, მაგრამ ჯერ კიდევ ომია რუსთაველზე. თან ისეთი ომი, რომლის სირცხვილსაც საუკუნეების მანძილზე ვერ მოიშორებს ქართველი. ამიტომ ახლა, აველუმის საძინებელში *„ფიქრის ონკანი მოშლილა და ბოლომდე არაფრით არ იკეტება“.* [ო.ჭილაძე 2016: 446]

„ეკლესიაში წირვაა, ღია კარიდან გალობის ხმა და საკმევლის სუნი გამოდის, ეკლესიის ეზოში კი ქალი სარეცხს ფენს. ფენდა. ახლა ცეცხლი უკიდია იქაურობას. ეკლესიის ჩუქურთმას ავტომატის ტყვია ფშხვნის. სარეცხის თოკზე ბავშვის პერანგი დარჩენიათ. ისიც ტყვიითა დაცხრილული. სხვები, იმედია, გაიხიზნებოდნენ... რუსთაველი რახანია გადაკეტილია“.[ო.ჭილაძე 2016: 449] დავაკვირდეთ სიტყვებს *„ფენს, ფენდა“,* აწმყოს წარსული დრო ცვლის, ფენდა, ახლა ვეღარ გაფენს, თუ გადარჩა, უნდა გაიქცეს,

გადაკეტილია ქუჩა, მაგრამ მაინც უნდა გაიქცეს! ამ დროს კი აველუმის შვილი ზუსტად იმ ტყვიების ზუზუნში, ეპიცენტრში იმყოფება. მწერალი შექმნილ სიტუაციას დეტალურად აღწერს და მკითხველი კულმინაციისაკენ მიჰყავს. დამთავრდა, აველუმს ვეღარ აპატიებენ გაქცევას, დამალვას, საბეჭდ მანქანასთან ჯდომას, ის ახლა უნდა ადგეს და შვილთან მივიდეს. ახლა მხოლოდ მოძრაობაა გამოსავალი, შიში ვეღარ დათრგუნავს, ვერ შეუშლის ხელს მოქმედებაში. უნდა იაროს, ამ სივრცეს გასცდეს, რადგან აქ ვეღარ გადარჩება. უნდა იბრძოლოს იმისთვის, რომ გადაარჩინოს ეკაეკატერინეკატო, მისი გადარჩენით კი იხსნას ყველა, ვის არსებობასაც ეს სახელი აერთიანებს და იტევს, ოდესღაც გაშვილებული დაც, გადასახლებული დედაც, დამცირებული მელანიაც, გაუცხოებული შვილიც, გადაარჩინოს საკუთარი თავიც. დაბრუნდეს ბავშობაში, სადაც ზღაპრული მღვიმე, ანუ სიმშვიდე, სიყვარული და მზე ელოდება. ჯვარს ხომ ეცვა უკვე, ახლა ფერიცვალების დროა, მთის მწვერვალამდე უნდა მიაღწიოს. *„ახლა მთავარია გზა არ დაებნას ამ მშობლიურად უცხო და უცხოდ მშობლიურ ქალაქში“.* [ო.ჭილაძე 2016: 487] დინამიკური და დაძაბული სურათია, მწერალი ახერხებს მკითხველი არა გარე დამკვირვებლად, არამედ თანამონაწილედ აქციოს, თავისი წილი ტანჯვა გამოაცდევინოს.

აველუმი არ დაიბნევა. მიაღწევს მიზნამდე. ეკაეკატერინეკატოს სახლში დააბრუნებს, რათა დროზე მიუსწროს დედამ კედლისაკენ გადაბრუნებულ შვილს, რომელსაც ზურგი შეუქცევია ქვეყნისათვის.

არ არის შემთხვევითი, რომ რომანის ბოლოს მწერალი მკითხველს აველუმის ბავშვობაში აბრუნებს. ისევ იქ მიდის, საიდანაც დაიწყო. ყურადღებით წავიკითხოთ ეპიზოდი აველუმის უკანასკნელი გადაწყვეტილების შესახებ : *„გამოვიდა თუ არა შინიდან, გააწნა თუ არა პირველივე სილა დეკემბრის ბოლო ღამის სიცივემ, მაშინვე გაუნათდა გონება (შეიძლება, უარესად დაუბნელდა), რადგან მაშინვე ერთხელ კიდევ დაინახა ის პატარა ზღაპრული მღვიმე, სადაც ოდესღაც, უხსოვარ დროს, ბავშვობისას ათვარებდა თავს.„* [ო.ჭილაძე 2016: 486] ბავშვობაში განცდილი, გადატანილი მოვლენები, ადამიანის მთელ ცხოვრებას წარმართავს. აველუმს სწორედ შინიდან გამოსვლამ გაახსენა ბავშვობის ზღაპრული მღვიმე და გაუჩინა იმედი, რომ აუცილებლად დაბრუნდება დედაც, მამაც, დაც, შვილიც... „ზღაპრული მღვიმე“ არ არის შემთხვევითი

სინტაგმა. „ზღაპრული“ ბავშვობასთან შეგვიძლია დავაკავშიროთ, ხოლო მღვიმე მეტად მრავალშრიანი სიმბოლოა: *„მღვიმის, გამოქვაბულის შესახებ სხვადასხვა ქვეყნის მითოსური ტრადიციის მიხედვით, პირველი ადამიანი, რომელიც ქვესკნელიდან გამოდის, გამოქვაბულში ამოყოფს თავს. მღვიმეს, გამოქვაბულს, ჭას უკავშირდება ტრიადა: სიცოცხლე,სიკვდილი,აღდგომა, რომელთა შერწყმის საფუძველზეა შესაძლებელი მღვიმის, გამოქვაბულის ტაძრად გამოყენება, მღვიმის ან გამოქვაბულისა, რომელიც ადრექრისტიანულ ეპოქაში ტაძრის მოდელადაც წარმოიდგინებოდა. ამგვარი მღვიმე, გამოქვაბული, ტაძარი სამყაროს მოდელია.. ჭა მღვიმის, გამოქვაბულის სახესხვაობაა... ჭაში მყოფი ადამიანის ცნობიერება, ფაქტობრივად, პლატონის მღვიმის მითის კვალობაზე კაცობრიობის ორგვარი ცნობიერების არსებობას მიუთითებს:*

1. მღვიმური, ანუ მონური ცნობიერებისა და 2. თავისუფალი ცნობიერების არსებობას. აქედან გამომდინარე, ადამიანის ამქვეყნიურ და სულიერ ცხოვრებაში განსაკუთრებულია „მღვიმური ცნობიერების“ ამაღლება ღვთაებრივი ჭეშმარიტების წვდომასა და სულიერი მზის - სიკეთის უზენაესი იდეის, ანუ ღმერთის, ჭვრეტამდე.” [ნ. სულავა 24] ამდენად მწერალმა მიგვანიშნა, რომ აველუმში ხდება ცვლილება, ის ამაღლდება ჭეშმარიტების წვდომამდე და ამის მიზეზად მწერალმა (საკუთარის გმირის მსგავსად!) მომავალი - აველუმის შვილი დაგვისახელა. ამ პატარა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო აბზაცით გვითხრა, რომ აველუმი გადარჩება და გადრჩება მხოლოდ იმიტომ, რომ შვილის საძებნელად გამოვიდა სახლიდან.

თუმცა, მიუხედავად ამ გადარჩენისა, აველუმობა უნდა დასრულდეს. შეიძლება ითქვას, რომ მამა საკუთარ შვილში უნდა გააგრძელოს არსებობა. რომანის წაკითხვის შემდეგ მკითხველს რჩება შთაბეჭდილება, რომ იმ საქართველოსათვის, რომელიც 9 აპრილის შემდეგ დაიბადება, აველუმი სრულიად ზედმეტი იქნება. ზედმეტი იქნება არა მხოლოდ ქვეყნისათვის, არამედ მთელი მომავალი თაობისთვისაც. დავუკვირდეთ რომანის დასასრულს, მწერალი გვეუბნება, რომ აველუმს ესმის ყველაფერი, გარდა შვილის ხმისა. ესმის *„დაფშხვნილი შუშის ხრაშა-ხრუშიც, ხანძრის გუგუნიც, მთავრობის სასახლის თავზე ტყვიებით დაფლეთილი დროშის მოულოდნელი შეფრთხიალებაც.“*

[ო.ჭილაძე 2016: აველუმი] ფიზიკურად შვილთან იმდენად ახლოს იმყოფება, რომ მისი ამოსუნთქვის სითბოსაც კი გრძნობს, მაგრამ შვილის ხმა აღარ ესმის.

ხანძარი, ტყვიებით დაფლეთილი დროშა, შუშის ნამსხვრევები, ეს ყველაფერი აველუმის დანგრეული და გადასხვაფერებული სამშობლოა, ნასამშობლარი. აველუმის საქართველო დამთავრდა, დამთავრდა აველუმობაც, მისი არსიც. 9 აპრილის შემდეგ აღარაფერი იქნება ძველებურად. 9 აპრილის შემდეგ აველუმის ხმას ვეღარავინ გაიგებს.

ამ თავში, მხატვრული ტექსტისა და სამეცნიერო კვლევების კვალდაკვალ განვიხილეთ რომანის მთავარი გმირების ფსიქოტიპები. ისტორიული წარსულის გახსენებით, შევეცადეთ გვეჩვენებინა, რა გავლენა მოახდინა რეპრესიულმა სისტემამ ადამიანებზე. ვნახეთ, როგორ ქმნიან ერთ მთლიან ჯაჭვს მელანია, ეკაეკატერინეკატო და აველუმი და დავინახეთ, როგორ იბრძვიან ისინი თავისუფლებისათვის. დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ რომანში თითოეული პერსონაჟის კონკრეტული საქციელი გარკვეული ფასეულობების მანიშნებელია. გარდა მთავარი გმირებისა, ყველა დეტალს, უმნიშვნელო მოგონებას, მითოსურ პარალელებს, ალუზიასა თუ ალეგორიას თავისი დამატებითი ფუნქცია აქვს. ამ მხატვრული საშუალებების გამოყენება ტექსტს არა მხოლოდ მხატვრულ ღირებულებას მატებს, არამედ რომანის მთავარი გარემოსა და პერსონაჟების ფსიქოტიპების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

თავი III

რეპრესიული სისტემის როლი რომან „გოდორის“ პერსონაჟთა ცნობიერების ჩამოყალიბებაში

რომანში „გოდორი“ მკითხველი ორ სამყაროში მოგზაურობს. ერთი ესაა, სინამდვილე, რეალობა, ხოლო მეორე, მთავარი გმირების სიზმრისა და ოცნების მხარეები. ეს ორი სამყარო კი ისე ენაცვლება ერთმანეთს, რომ ხშირად რთულია გაიგო, სად დამთავრდა სინამდვილე და დაიწყო სიზმარი. გმირის გონებაში, ფსიქიკაში ქაოსურადაა არეული ერთმანეთში ყველაფერი. დაუსრულებლად იხსენებენ ისინი თავიანთ ბავშვობას, წარსულს, პარალელურად კი მიჰყვებიან ჭუჭყიან, ჩახუთულ ლაბირინთებს. მკითხველმა აუცილებლად უნდა გამიჯნოს ერთმანეთისაგან ეს ორი სამყარო, იმისათვის, რომ დაინახოს, რას გრძნობენ, განიცდიან, როგორ ცხოვრობენ რომანის მთავარი გმირები. მწერალი ამ გზით გვიჩვენებს, რომ გოდრის ჩახუთულ სივრცეში ცხოვრება წარმოუდეგენელია უკეთესზე ოცნების გარეშე. გარდა ამისა, ელიზბარის, ანტონისა და ლიზიკოს სიზმარ-ოცნებებით, მკითხველს საშუალება ეძლევა დაინახოს, რა უნდათ ამ ადამიანებს. რისთვის და რის გამო იტანჯებიან ისინი. მათ სიზმრებში მარცხდება მტერი, ლიზიკო ამაყია გამარჯვებული მამის გამო. ოცნებებში ფრანივით თავისუფალია ანტონი. თავიანთ სიზმრებში ეს ადამიანები მთავარი მოქმედი გმირები არიან და რაც მთავარია, იბრძვიან! მწერალი ამ ყველაფრით გვეუბნება, რომ ეს ადამიანები არ დამორჩილებულან რეპრესიული სისტემის სიბინძურეს. არ გამქრალა მათ მეხსიერებაში და ოცნებაში თავისუფლებაზე ფიქრი. სიზმარში ხომ ხშირად იმას ხედავს ადამიანი, რასაც ცხადში ვერ აღწევს, მაგრამ მთელი გულით სურს, ამ რაღაცის მიგნება. ოცნებებიც ხომ მხოლოდ იქითაა მიმართული, რისი ახდენაც ყველაზე მეტად გვსურს!

მწერალმა ოსტატურად შეძლო ეჩვენებინა, რას ნატრობენ მისი გმირები, მაგრამ სად ცხოვრობენ რეალურად.

ჩვენ შევეცდებით, გმირების ფსიქოტიპებზე დაკვირვებით წარმოვაჩინოთ, როგორ შეძლებენ ისინი სიზმრის სინამდვილედ გადაქცევას. როგორ აისრულებენ მთავარ

საწადელს და გააცოცხლებენ იმ საქართველოს, რომელსაც ლუდოვიკო ბოლონიელი დაეძებს.

სანამ მთავარ სათქმელზე გადავალთ, აუცილებლად უნდა გავამახვილოთ ყურადღება რომანის სათაურზე. ვნახოთ, რას ვკითხულობთ მწერლის ჩანაწერებში: *" რომანს პირობითად „მღილთა აღლუმი" ერქმევა. გუშინ დავწერე პირველი აბზაცი. ეს არ ნიშნავს იმას,რომ მეორე აბზაციც ვიცი. ჯერ ბევრი რამე არ ვიცი,თუნდაც გმირის სახელი.."* [ო. ჭილაძე 2010: 219] შემდეგ: *„30 ივლისი. გუშინ დავამთავრე „ლიპელბეთყეპივი". თამაზი უკვე კითხულობს, მესამედი წაიკითხა, მაგრამ ჯერჯერობით დუმს, დუმს-ვერ არის მაინცდამაინც კარგი ნიშანი...რაც მთავარია წნევამ აუწია".* [ო. ჭილაძე 2010: 270]. და აქვე ფურცლის ბოლოში განმარტებაა სიტყვისა „ლიპელბეთყეპივი". სიტყვა რომანის სათაურის ერთ-ერთი პირველი ვარიანტი ყოფილა, რაც „ყვითელ პეპლებს" ნიშნავს. საინტერესო სამეულია „მღილთა აღლუმი", "ყვითელი პეპლები", „გოდორი". დიდი სიამოვნებით წავიკითხავდი, მოვისმენდი, როგორ შეაჩერა მწერალმა ამ უკანასკნელზე არჩევანი. ალბათ ყვითელი პეპლები იმ გადმოსახედიდან ზედმეტად ოპტიმისტურად მოეჩვენა, მღილთა აღლუმიც ვერ იტევდა მთლიან სათქმელს, ალბათ მკითხველს თვალწინ უნდა დასდგომოდა ის თავღია გოდორი, საიდანაც ამოიზარდა კაშელობის სენი და ქვეყანას შეეყარა!

რომანში „აველუმი" მთავარი გმირი ფრანსუაზას ფეხდაბიჯებულ სისხლზე ესაუბრება. ეუბნება, რომ შენთვის გაუგებარია ეს ტკივილიო.

შესაძლოა, მკითხველისთვისაც გაუგებარი იყოს ეს ტკივილი, მაგრამ მას აქვს საშუალება, პარალელი გაავლოს „გოდორთან", სადაც უკვე ნათლად ვხედავთ, როგორ სისხლზეა საუბარი: *„ერთხელ, შორეულ ბავშვობაში, თუკი როდისმე ისიც იყო ბავშვი, ამ სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით, მამამ დახვრეტილი მეამბოხეების გვამებით სავსე მანქანა მიაყენა შინ და შუაღამისას, ლოგინიდან ფაცაფუცით წამოვარდნილი, სანახევროდ ჯერ ისევ მძინარე, მანქანის ძარაზე შესვა, ასე ვთქვათ გამოსაწრთობად, „ნერვების გასამაგრებლად", „გვამის შიშის დასაძლევად". იმას კი, იოტის ოდენადაც არ შეშინებია ამაზრზენად სახეგადაფითრებული გვამებისა, პირიქით, მაშინვე ჯირითსა და ბუქნაობას მოჰყვა და ძალიანაც მოეწონა,მის ფეხქვეშ ჭყაპა-ჭყუპი რომ გაუდიოდა უკვე სანახევროდ*

შედედებულ სისხლს, არათნაბრად რომ იბუშტებოდა აქა-იქ, კონსერვის თევზებივით ერთმანეთზე მჭიდროდ დალაგებულ გვამებს შორის და ნაზად,სასიამოვნოდ რომ უწინწკლავდა სახეს თითის მიკარებისთნავე უკვალოდ გამქრალი სისხლი." [ო.ჭილაძე 2015: 34]

ამ მონაკვეთის წაკითხვის შემდეგ მკითხველისთვის გასაგები ხდება, რატომ ვერ გაიზიარებდა ფრანსუაზა აველუმის ტკივილს. („აველუმი") ამ ეპიზოდის შემდეგ აღარც ისაა გასაკვირი, რომ საქართველოს უკვე მძორის სუნი ასდის. ალბათ იმასაც ვეღარ ვიტყვით, ავადაა ჩვენი ქვეყანაოო. ამას ავად ყოფნა აღარ ქვია, აღარც გოლგოთაზე ასვლა. მუმლისგან იხრჩობა ახლა საქართველო და რა არის ეს მუმლი? „იმათი" ხელით დახოცილთა გვამების სულია და იმ გვამების მუმლი ეხვევა ქვეყანას. ესაა რეალობა, რომელიც აღწერილია რომანში „გოდორი". ეს მუმლი იმ კვამლსაც მახსენებს, რომელზეც ოთარ ჭილაძე ინტერვიუს დროს საუბრობს : *„იწვის (სამშობლო) ჩვენს თვალწინ, ჩვენს ფეხქვეშ, ჩვენს გარშემო, ჩვენს სულში! ცოტაც და კვამლით გავიგუდებით ყველანი, სამარცხვინოდ დავამთავრებთ, ღმერთმა იცის, რამდენსაუკუნოვან არსებობას. ღმერთსაც გავუწბილებთ მოლოდინს და კაცსაც, რადგან ღმერთიც მეტს ელოდა ჩვენგან და კაციც. უფრო სწორად, არც ღმერთს დაუკლია ჩვენთვის ხელი და არც კაცს. მაგრამ, იმის ნაცვლად, კიდევ უფრო ჯიუტად, კიდევ უფრო მტკიცედ დავმდგარიყავით სამზეოზე, თანდათან რული მოგვერია და ისიც ვერ გავიგეთ, ვინ ან როდის შეგვიცვალა მხედრის ულუფა მონის სალაფავით და აი, ამის შემდეგ გვეწვის ფეხქვეშ სამშობლო."* [ო. ჭილაძე 2015: 35] ის სამშობლო, სადაც სუსტმა ანტონმა უნდა იტვირთოს და მოკლას მამა, ანუ კაშელობა გააქროს. კაშელობა, სენი რომელიც ორასი წლის წინათ შეეყარა ჩვენს ქვეყანას და ვერაფრით ვეღარ მოვიშორეთ, ვერ ჩამოვიბანეთ, ვერ გადავურჩით, რადგან ხან არ გვინდოდა, ხან არ ვიცოდით რა გვინდოდა და ვისთან გვინდოდა, *„რადგან, ვინც გვამხილა, ყველა მოვიკვეთეთ, გავაძევეთ, წვერით ვათრიეთ, ანდა ტყვია დავახალეთ შუბლში".*[ო.ჭილაძე 2015: 144] ხანაც თავგანწირულად ვიბრძოდით, მაგრამ დღეს ამ რეალობამდე მოვედით, დღეს სუფრასთან, ვიღაც რიგითი მოქალაქე თავისუფლად ამბობს, რომ *„ეს ქვეყანა ყველას გვეყოფა".* [ო.ჭილაძე 2015: 190] მეორე კი, უფრო მეტად თამამი, სიხარბისაგან დაბრმავებული იმასაც დასძენს *„მე ჩემი წილი სამშობლო რახანია*

ვიხმარე“. [ო.ჭილაძე 2015: 191] რა უცნაურია, მისი წილი... ვინ უანდერძა, ვინ აჩუქა და უთხრა, დაარიგე, გაანიავე, ვისაც გინდა გაუყავი და გაყიდე რა ფასადაც გინდაო! *„კი ბატონო! ვიხუმროთ, გავძარცვოთ, გავყიდოთ... ჩვენ კი დავვაზოთ უცხოეთში.., კი ბატონო! ყველა ისე ცხოვრობს როგორც შეუძლია და არა ისე, როგორც სურს. სისუსტე ამართლებს სიგლახეს, სიგლახე ამართლებს ტყუილს“.* [ო.ჭილაძე 2015:191] ამ გაუთავებელ ტყუილებს კი ის მოჰყვება, რომ ახლანდელ თაობას გაძლების ენერგია აღარ აქვს. ლიზიკოსა და ანტონის თაობას, არც იმის ენერგია აქვს, ფრთებისთვის იბრძოლონ ისე, როგორც ამას ეკაეკატერინეკატო აკეთებდა. ლიზიკოს მხოლოდ ის შეუძლია, გაუთავებლად გარბოდეს იმ მანქანიდან, რომელშიც მუმლი სულს უხუთავს და მაყვლის ეკალბარდებში იხლართებოდეს, ანტონი კი, გაოგნებული, თავში ხელებს იცემდეს, რა დაემართა ჩემს ცოლსო და სანამ ის ამ ბურუსიდან გამოერკვევა, მის ცოლს უკვე მამამისი პატრონობს.

მაშ ასე, აზიის იდუმალი ჯურღმულებიდან კარგა ხანია გამოტყვრა ურჩხული, რომლის დამარცხება საუკუნეების მანძილზეც კი არ იქნება მარტივი არა მხოლოდ საქართველოსათვის, არამედ მსოფლიოს სხვა მრავალი ქვეყნისათვის. (ო.ჭილაძე, 2015, 9). ამ ურჩხულის „მფარველობის“ ქვეშ უნდა გამოიაროს საქართველომ ორასი წელი და მიაღწიოს მეოცე საუკუნემდე, მიაღწიოს ჯვარცმამდე, დაცემამდე. ან უნდა აღსდგეს, ან უნდა გაქრეს. აველუმმა ცუდად თუ კარგად, ასე თუ ისე იბრძოლა, რაღაც გამოუვიდა, დასძლია პაპისა და მამისაგან დატოვებული ტკივილები და მომავლისკენ გაახედა შვილი, მაგრამ ახლა? რას იზამს ქართველი, რომელიც დანარჩენებთან ერთად ერთ გოდორში მოქცეულა და სულს ღაფავს? ახლა რა გადაარჩენს მას? ვნახეთ, რომ ხელოვნური ფრთები მოარგეს ახალ თაობას, ნამდვილი ფრთები დაბადებისთანავე დაამტვრიეს. როგორი მომავალი შეიძლება ჰქონდეს ასეთი წარსულისა და აწმყოს მქონე ქვეყანას? „გოდორი“ - ესაა წიგნი, რომელიც მხოლოდ იმას კი არ გვიჩვენებს, რა გვჭირდა მეოცე საუკუნის დასაწყისში, არამედ იმ კითხვებზეც გვცემს პასუხს, რატომაა დღეს ჩვენი ქვეყანა ამ მდგომარეობაში.

„რაზ, დვა ,ტრი და,

შემოტრიალდი და,

თოფი ხელში დაიჭირე,

ომში წამოდი და...“

და აქვე განმარტებაა ამ სტრიქონებისა: *‘’უკვე რუსულ-ქართულად თამაშობდნენ ჯარისკაცობანას ქართველი ბავშვები“.* [ო.ჭილაძე 2015:12]

მტერი ჭკვიანია. ენას დაგავიწყებს, თუ ენა არ გეცოდინება, არ გეცოდინება არც შენი წარსული, როცა არ იცი საიდან მოდიხარ, არც ის იცი, საით უნდა წახვიდე. ასე ნელ-ნელა გაქრება ეროვნული თვითშეგნება და ვიქცევით არა საზოგადოებად, არამედ ბრბოდ. ბრბოს კი იქით წაიყვანენ, საითაც მოესურვებათ. ასე რომ, პრობლემა რომანის დასაწყისშივეა დასმული და ნათქვამია, რომ გაქრობა, გადაშენება გვემუქრება, თუ ჯერ კიდევ გვქვია სახელმწიფო. ეს ენის გასატეხი ორენოვანი ბავშვებისთვის, ელიზბარის ბავშვობისდროინდელი ლექსია და გვეუბნება, რომ ქართველი ერთ ენაზე ითვლიდა, თუნდაც სამამდე, მეორე ენაზე კი დანარჩენ სათქმელს ამბობდა. მეორე ენა შემოგვაპარეს, იმისათვის, რომ საკუთარი დაგვევიწყებინა და ჩვენც, შეუმჩნევლად, ერთი ენით ვითვლით, მეორეს ვაშველებთ საუბრის დროს და უფსკრულამდე ისე მივდივართ, ვერც ვერაფერს ვიგებთ, სანამ არ გადავიჩეხებით. საბოლოოდ კი, როცა მეასედ ჩავცვივდებით სიბნელის, სიბრმავის ორმოებში, დავინახავთ , გვეტკინება და ვიტყვით, რომ *„ცხინვალის ღველფი და ღადარი სოხუმში ღვივის“* .[ო.ჭილაძე 2015: 275]. დავინახავთ, რომ აფხაზეთი ჩვენი აღარ არის და იმ პატარა *„მიწის ნაგლეჯზეც“,* სადაც ახლა სულს ვღაფავთ, დაგვავიწყდა საკუთარი ენა და წარსული.

ოთარ ჭილაძე რომანში „გოდორი“, გვეუბნება, რომ ეს ყველაფერი, გუშინ, მეოცე საუკუნეში არ დაწყებულა. *„მას შემდეგ რაც ქართველი ალექსანდრე პირველის დაშლილ დაქუცმაცებული, რუსმა ალექსანდრე პირველმა იმპერიის სტომაქში გააერთიანა, მუმლი გვესევა, მუმლის მოფარფატე სიყვითლე გვარტყია ირგვლივ. არიქა! ალყაში ვართ. თავს უშველეთ. ვიღუპებით”.* [ო.ჭილაძე 2015: 275] *ახლა კი „იმპერია იჭინთება. ჩვენ ვიბადებით“* [ო.ჭილაძე 2015: 275]. ამ ერთი წინადადებიდან უკვე გასაგებია, როგორი საქართველო დაიბადება. დაიბადება გოდრის პირველი ნაშიერი რაუდენი, რომელიც ის

მატლია, სამშობლოს მძორს რომ დაპატრონებია და რომელსაც ავაზაკები მოუსწრაფებენ სიცოცხლეს. დაიბადება ანტონი,(მეორე თაობა). სიმბოლური და მნიშნელოვანია მისი დაბადება იმ მხრივ, რომ რაჟდენის კაზაკი ცოლი, კლავა მას ზუსტად 1921 წელს, თბილისის დაცემის დღეს გააჩენს. დაიბადება და მოგვიანებით მასაც მატლივით გასრესენ სწორედ იმ მანქანით, რომლითაც თავად 1924 წელს დახვრეტილთა გვამებს ეზიდებოდა, მანამდე კი *„თავისუფლად შეიძლება ითქვას, საბჭოთა ხელისუფლება პირველი ანტონ კაშელის ჩხავილით შემოვიდა ახალ საქართველოში“.* [ო.ჭილაძე 2015: 33] მატლია მესამე თაობაც, რაჟდენ კაშელი, რომელსაც მიზნად რძლის საყვარლობა გაუხდია, ხოლო ანტონი, მეოთხე თაობა უკვე მატლის სიკვდილით დაბადებული პეპელაა, რომელსაც ძალიან ხანმოკლე სიცოხლე ელის. აქვე მინდა გავიხსენო ფრაზა, რომელიც 1977 წელს ჩაუწერია ოთარ ჭილაძეს რვეულში : *„თუ ღმერთი არ არის, მაშინ ადამიანი მატლია.“* [ო. ჭილაძე 2010: 77] ამ ფრაზის მოხმობა გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ კაშელების გვარმა და გენმა ღმერთის ადგილი აღარ დატოვა ხალხის გულებში, ღმერთი გააძევა ადამიანთა გულებიდან.

ტექსტის განხილვისთვის მნიშვნელოვანია ყურადღებით მივადევნოთ თვალ-ყური კაშელების სამი თაობის, სამი „მამის“ ცხოვრებას: უფროსმა რაჟდენ კაშელმა საკუთარი გამზრდელი გააუპატიურა, პირველად აქ გამოავლინა გოდორში შეძენილი მანკიერებანი, მისმა შვილმა ანტონმა, თავისი მეუღლის, კნიაჟნა ქეთუსიას მამა და ქმარი მოკლა. უმცროს რაჟდენ კაშელს კი უპირველესად ლიზიკოს, საკუთარი რძლის დამორჩილება აინტერესებს. ნათელია „მამათა თაობის“ რაობა და უკვე გასაგები უნდა იყოს ჩვენთვის, რატომ აქვს რომანს ეპიგრაფად წამძღვარებული *„და აღსდგნენ შვილნი დედა და მამათა და მოკვლიდნენ მათ“.* შვილმა, მომავალმა თაობამ, უნდა დაასრულოს მშობლების დაუსრულებელი უზნეობის ხანა.

რომანის პირველივე გვერდებიდან ვიგებთ, რომ მთლიანად გადაგვარდა და გაქრა ძველი საქართველო, დახმარების სათხოვნელად ჩამოსულ ლუდოვიკო ბოლონიელს ის ადგილზე აღარ დაუხვდა. ოთარ ჭილაძე, ჩვენს სინამდვილეს აღწერს, პირდაპირ და მკაფიოდ გვეუბნება, რომ ვიღუპებით, მაგრამ მაშინვე გვაშველებს იმედის პატარა

ნაპერწკალს, წარსულისაკენ გვაბრუნებს და გვახსენებს, რომ ოდესღაც, მეთხუთმეტე საუკუნეში რომის იმპერიას ჰქონია საქართველოს იმედი. დღევანდელი რეალობით შეშინებული მკითხველი კი, ამის შემდეგ, შეიძლება დაფიქრდეს, რომ თუკი ოდესღაც ამხელა ენერგია გქვონდა, შესაძლოა, ამ ერთხელაც გადავრჩეთ.

სრულიად ახალი ცხვორებაა დაწყებული. სანამ ჩვენი მწყემსი ცაში ღრუბლებს ითვლის, მის ცოლთან სოფელთან გამართული საგუშაგოს უფროსი დადის. მწყემსი ან ზედმეტად ენდობა საგუშაგოს უფროსსა და საკუთარ ცოლს, ან თავს ისულელებს, რადგან სხვა აღარაფერი დარჩენია, ბრძოლის თავი არა აქვს. სწორედ ამ მწყემსის შთამომავალნი არიან ის კაშელები, საბოლოოდ რომ გააქრობენ და გადააგვარებენ საქართველოს. ბოლოს მწყემსი ცოლს მოკლავს, უფროსი კი გაიქცევა, ორი წლის ბავშვი ამ ყველაფერს თვალყურს გოდრიდან ადევნებს და უკვე ვიცით, რომ *„რუსეთის იმპერიის უკანა ხვრელიდან მალე საქართველოს ახალი სახეობა უნდა დაბადებულიყო და ის ბიჭიც ამ საქართველოსთვის ყავდა განკუთვნილი განგებას. იმ საქართველოში უნდა გამოეჩინა გოდორში შეძენილი მიდრეკილებები. ტყუილად ეშინოდა სისხლში მცურავი მშობლებისაც და მისი საცოდაობით ავიშვიშებული მეზობლებისაც, დროის პირმშო გახლდათ, თანაც გამორჩეული, იოლად ვერავინ ხელყოფდა მის სიცოცხლეს“.* [ო.ჭილაძე 2015: 19]

მკითხველმა აუცილებლად უნდა გაამახვილოს ყურადღება იმ ფაქტზე, რომ ყველაფრის სათავეში მწყემსი დგას. ადამიანი, რომელსაც უნდა შეეძლოს კეთილისა და ბოროტის ერთმანეთისაგან გარჩევა. ადამიანი, რომელმაც უნდა უწინამძღვროს სამწყსოს. მფარველი უნდა იყოს მგზავრისა ნებისმიერი მგზავრობის დროს, დაკარგული ცხვარი უნდა დაუბრუნოს ფარას. მხატვრულ ტექსტში კი პირიქით ხდება. მწყემსი სუსტია და მხოლოდ სისხლის დაღვრით ცდილობს არსებული სიტუაციის შეცვლას. ოთარ ჭილაძე გვაფრთხილებს, რომ ამგვარი მწყემსის შთამომავლობა კარგს არაფერს მოუტანს ქვეყანას.

ასეც მოხდა, ეს ის თაობა და დროის ისეთი პირმშოა, რომელზეც მერე მწერალი იტყვის მიხეილ ჯავახიშვილისა და ტიციან ტაბიძის ხორცს თითქოს დანა-ჩანგლით გეახლებოდაო. ეს ისეთი რეალობაა, თუ არ დაემორჩილე, ძალით დაგიმონებს, სხვა

შემთხვევაში გაგაქრობს სრულიად. ამიტომ შენ, მეორე მხარემ, ყველანაირად უნდა ეცადო, რომ ძირფესვიანად ამოძირკვო ეს „გოდრის ნაშიერები“, რომელთაც ბავშვობიდან მხოლოდ ბოროტება აქვთ ნანახი და მაშასადამე, შენც მხოლოდ ავსა და ბოროტს შეგამთხვევენ. ამ სინამდვილის მსხვერპლია რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირი ლიზიკო, რომელიც ანტონს კი გაჰყვება ცოლად, მაგრამ, ნებით თუ უნებლიედ, მამამთილის საყვარელი გახდება. ლიზიკო სრულიად მარტოა, ის არაა ეკაეკატერინეკატოსავით ძლიერი და არ დაეძებს ფრთებს გასაფრენად, ალბათ იმიტომ, რომ ელიზბარი, ლიზიკოს მამა, უფრო სუსტია ვიდრე აველუმი. ამიტომ შესჩივლებს დედინაცვალს გერი „ *-ჩვენ სხვა ხალხი ვართ , ელისო.. უფრო სწორად ხალხი არა ვართ - აგრძელებს ნირის შეუცვლელად - სხვათა შორის, თქვენი წყალობთ.. მშობლების, უფროსების.. თუ ცხოვრება არ შეგეძლოთ, ან აღარ გინდოდათ, რაღას გვაჩენდით?“* . [ო.ჭილაძე 2015:112]

ლიზიკო გადაღლილი, შეშინებული და უბედურია. ის მსხვერპლია რეპრესიული სისტემისა. მამასაც ამიტომ ეუბნება გაღიზიანებული, მაგ პოეტურ ლაპარაკს გირჩევნია, ცხოვრებას შეხედო თვალებშიო. იქნებ შველასაც ითხოვს ამ სიტყვებით და სწორედ მამისაგან მოელის სხნას.

მივყვეთ დეტალურად რომანის მთავარი გმირების ხასიათებს და დავინახოთ, რა გავლენას ახდენს მათზე რეპრესიული სისტემა.

ელიზბარი მწერალია. როგორც ოთარ ჭილაძე გვეუბნება *„გადაშენებული მწერლების“* რიგს მიეკუთვნება. ამით მიგვანიშნებს, რომ ელიზბარის ადგილი ამ საქართველოში აღარ არის, რადგან აღარც ის საქართველო არსებობს *„ქართველებს რომ გულში უდევთ“* .

მიუხედავად ამ ყველაფრისა, მიუხედავად საბჭოთა კავშირის ჭაობებისა, ელიზბარს, როგორც მწერალს, მაინც შესწევს უნარი, სხვა ყველა დანარჩენისაგან განსხვავებული თვალით უყუროს სამყაროს. შეუძლია შეამჩნიოს, როგორ შეყვითლებულა ალვის კენწერო და გაიფიქროს, *„რა ლამაზია, ეს შეჩვენებულიო“.* [ო.ჭილაძე2015: 159] *„სხვებზე უკეთესად გრძნობს ნებისმიერ სახიფათო ცვლილებას ცხოვრებაშიც და ბუნებაშიც... ერთი*

ფოთოლიც რომ შეთრთოლდეს ზედმეტად, ანდა ნაადრევად, ისიც კი აღირიცხება მისი სულის შკალაზე.“[ო.ჭილაძე 2015: 141]

ელიზბარის ფსიქოტიპზე საუბარს მისი სახელიდან დავიწყებთ. მკითხველი აუცილებლად გაამახვილებს ყურადღებას, რომ რომანში ელიზბარის სახელი რამდენჯერმე შეგვხვდება განსხვავებული ფორმებით. „აველუმიდან“ გამომდინარე, ჩვენ უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მწერლისათვის სახელებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ხშირ შემთხევაში ეს სახელები კონკრეტულ სათქმელზე მიგვანიშნებს. ვნახოთ, როგორ მიმართავს ელიზბარს თავისი მეუღლე, ის რამდენჯერმე დაუძახებს მას *„ელიზბარ, ელიზბარ, ელიაააა“* [ო.ჭილაძე 2015: 157] სახელის ამგვარი ტრანსფორმაცია მკითხველს აუცილებლად გაახსენებს ელია წინასწარმეტყველს. დავუკვირდეთ, რისთვის დასჭირდა ეს მწერალს. ვფიქრობთ, ძალიან საინტერესოა ის ფაქტი, რომ ელია წინასწარმეტყველის მოღვაწეობის დროს ისრაელში მეფობდა ადამიანი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე უწმინდური კაცის სახელითაა ცნობილი ისრაელის მეფეებს შორის. ელია წინასწარმეტყველი ისევე იდევნება მეფე ახაბისაგან, როგორც ელიზბარი რეპრესიული სისტემისაგან. ელიამ ხალხს ღმერთის ძალა უნდა დაანახოს, აჩვენოს მათ უფლის გზა, ელიზბარიც სწორედ ასეთ მხსნელად უნდა მოევლინოს თავის ოჯახს, შემდეგ კი სამშობლოს, თუმცა, სანამ ამას შეძლებს, მან, ისევე როგორც აველუმმა, საკუთარი შიშები უნდა დასძლიოს. ისიც უნდა აუხსნას შვილს, რომ კაშელებთან ნებისმიერი სახის ურთიერთობა დაღუპვის ტოლფასია, მაგრამ ამას ვერ მოახრხებს. პირიქით, როცა გაიგებს, რომ ანტონი და ლიზიკო ხელის მოწერას აპირებენ, ისევ თავის ნიჟარაში შეიკეტება. შეიკეტება და *„თავმოკვეთილი მეფისა“* და *„ძუძუებდაგლეჯილი დედოფლის“* აჩრდილებს შეეხიზნება. წარსულში ცდილობს გადამალვას.

ვფიქრობ, აუცილებლად უნდა ითქვას ისიც, რომ ამ მეფეებისა თუ დედოფლების არდავიწყებამ, გაუთავებელმა ჩაკარგვამ წიგნებში, ლიზიკოზე და ანტონზე გარკვეული გავლენა მაინც მოახდინა, ისევე როგორც აველუმმა ეკაეკატერინეკატოზე. *“ფიქრი იმაზე, ტკივილი იმის გამო და ეგრეთწოდებული ეროვნული მოძრაობა საქართველოში არასოდეს შეწყვეტილა და არც შეწყდება. არ შეწყდება სწორედ იმის გამო, რომ თავისუფლებისათვის ბრძოლას ამა თუ იმ ფორმით ქართველი ხალხი მუდამ*

*აგრძელებდა, დღესაც აგრძელებს და მომავალშიც გააგრძელებს. მას არ შეუძლია, შეეგუოს მონობას, არ შეუძლია შეეგუოს ჩაგვრასა და უბედურებას.. ბუნებრივია, ყოველივე ამას მომზადება სჭირდება და ხალხის ცნობიერების ამ მიმართულებით წარმართვა, ეს ხდებოდა ჩვენი წარსულის გახსენებით, იმ პიროვნებების ჩვენებით ყველაზე კარგად რომ გამოხატავდნენ თ*ავისუფლებისა და დამოუკიდებლობის *იდეას - მეფე იქნებოდა ის თუ რიგითი ქართველი..."* [ა. ბაქრაძე 2016: 427] შეიძლება ითქვას, რომ ელიზბარმა თავის მეხსიერებაში დალექილი წარსულის ფრაგმენტებით, ანტონს გაუღვივა თავისუფლებისათვის ბრძოლის სულ პატარა ნაპერწკალი.

ელიზბარს, ისევე როგორც აველუმს, შიში არ აძლევს საშუალებას, რეალობად აქციოს ის, რაზეც ოცნებობს. სწორედ ამიტომ ოთარ ჭილაძე ეხმარება თავის გმირებს და სხვა გზას, გამოსავალს სთავაზობს გადარჩენისათვის. აველუმი მწერალია და წიგნში აღწერს რეპრესიული სისტემის ნამდვილ სახეს. ელიზბარიც მწერალია, საკუთარი ქვეყნის ისტორიაში ჩაკარგული მწერალი. მასაც შიშები არ აძლევს საშუალებას, რომ სინამდვილეს გაუსწოროს თვალი. მნიშვნელოვანი და საყურადღებოა წიგნიდან ერთი პასაჟი, კერძოდ, ლიზიკო სახლში დაბრუნდება იმისათვის, რომ მამასა და დედინაცვალს, მამამთილზე ესაუბროს, ელიზბარი თავისი ოთახიდან არ გამოდის, საბეჭდ მანქანას მისდჯდომია. არ გამოდის იმიტომ, რომ სიმართლის გაგება არ უნდა. ელიზბარის პასიურობის გამო კი, განაწყენებული და გაბრაზებული ლიზიკო გაიჯახუნებს სახლის კარს და ვეღარც ის სიტყვები დააბრუნებს, ვერ გადაარჩენს, ელიზბარი რომ წამოიყვირებს: *„დაბრუნდით სასწრაფოდ. ნუ გაიჯახუნებთ მშობლიური სახლის კარს. ჯერ კიდევ შეიძლება, გადავრჩეთო".* [ო.ჭილაძე 2015:129] რა თქმა უნდა მკითხველი კარგად აცნობიერებს, რომ ეს დაგვიანებული სიტყვებია, დაგვიანებული ქმედებაა და სწორედ ამიტომ უშედეგოა. ამგვარი კონტექსტები და მწერლის - ოთარ ჭილაძისეული განსჯითი ეპიზოდებიც რომანში ხშირია, უბედურების გამომწვევ მიზეზებზე ხაზგასმა თანდათან გვამზადებს რომანის მოსალოდნელი განვითარებისათვის.

სანამ კონკრეტულად ელიზბარის შიშზე დავიწყებთ საუბარს, უნდა გავიხსენოთ, საბჭოთა კავშირში დანერგილ შიშს რა მდგომარეობამდე მიჰყავს ადამიანი. ამ ფაქტთან დაკავშირებით არაერთი მაგალითის გახსენება შეგვიძლია, როგორც ქართული, ისე

უცხოური ლიტერატურიდან. გავიხსენოთ, რომ ჯორჯ ორუელის „დიდი ძმა“ ყველგანაა და მას არაფერი გამოეპარება. იმის საილუსტრაციოდ კი, რომ საბჭოთა რეალობა ყველა ქვეყანაში ერთნაირად მძიმეა მოვიხმოთ გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“. გავიხსენოთ, როგორ განიცდის რომანის მთავარი გმირი, თამაზი მარტოობას. მატარებელში მყოფს ძალიან უნდა, რომ თანამგზავრს დაელაპარაკოს, თუმცა ამას ვერ ბედავს, რადგან უნდობლობითაა გაჟღენთილი ირგვლივ ყველაფერი. თამაზმა კარგად იცის, რომ *„დაგლეჯილი ღმერთი“* გულებშია განაწილებული. *„ყველა გულს რომ შეეძლოს სხვების შესახვედრად გაღება, ბოლომდე, მთლიანად, კოსმიურად, მაშინ ალბათ გამრთელდებოდა დანაკუწებული ღმერთი. მაგრამ! ეს გულები მყისვე უკან იხევდნენ, როგორც კი კაცი დღევანდელობას შეეხებოდა“.* შიში , *“ეს უმთავრესი სენი სიცოცხლის“,* ადამიანებს ერთმანეთთან მისასვლელ გზებს აღარ უტოვებდა.

ამ რეალობის ზეგავლენით ელიზბარის მეხსიერებაც და სულიც შიშის ბორკილებითაა დამძიმებული ისტორიულმა სინამდვილემ და პოლიტიკურმა ფაქტორებმა მიიყვანა ადამიანი უკიდურეს მდგომარეობამდე - სულიერ სიღატაკემდე. *„ჩვენი ყოფის რთული ისტორიული განვითარების გამო ქართველი კაცის ფსიქიკისათვის შიშის განცდა და მისი დაძლევა ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული და მწვავე პროცესი იყო“.* [ნ.მამაცაშვილი 1997:21]

რთულია ამ ყველაფრის დაძლევა ელიზბარისთვისაც. ზუსტად ამიტომ აკეთებს ის სიზმარში იმას, რისი გაკეთებაც ცხადში ევალება. სიზმარ-ცხადის გასაყარზე ეომება ტახად ქცეულ, გომურში ჩამწყვდეულ *„გაპირუტყვებულ მძახალს“.* მკითხველი კარგად ხედავს, როგორი ბედნიერი და ამაყია ამ ორთაბრძოლის დროს ლიზიკო მამის წარმატებით, მამის გამარჯვებით, რაჟდენის დამარცხებით. „*''მამა,მამა,მამიკო.*“ - *ყვიროდა განთავისუფლებული, გაბედნიერებული ლიზიკო და გაშმაგებული კოცნიდა ტახის სისხლსა და ტალახში ამოთხვრილ მამას.“* [ო.ჭილაძე 2015:167]

„სიზმარი ცნობიერების აბსტრაქტული განცდაა; სიზმარში აისახება გარედან მოცემული სინამდვილე, ცნობიერ განწყობასთან შეუთავსებელი, იდუმალი სურვილი; სიზმრების ახსნა არის Via Regina, ანუ ქვეცნობიერის შეცნობის „სამეფო გზა“. იუნგმა შექმნა სიზმრების ახსნის მეთოდოლოგია. უზარმაზარი შრომა გასწია სიზმრების ფენომენის

ასახსნელად; ფროიდის მიხედვით, სიზმარი „ეს არის განდევნილი სურვილების, მოთხოვნილებების შენიღბული ასრულება“; „სიზმარი ეს არის წერილი ჩვენი არაცნობიერისგან“; (შავიანიძე) ცხადია, სიზმრის როგორც მხატვრული ხერხის გამოყენება, ლიტერატურაში ნაცადი ხერხია, რომანში სიზმრის ეპიზოდებისს ასახსნელად და მისი ფუნქციის განსასაზღვრადაც სწორედ სამეცნიერო ლიტერატურასა და ფსიქოანალიზში უკვე არსებულ მოსაზრებებს უნდა დავეყრდნოთ.

პერსონაჟის სიზმრისეულ ბედნიერებას არაფერი აკავშირებს რეალობასთან. სინამდვილეში დამცირებული და დატანჯული ლიზიკო ვენებს იჭრის. ამის შემდეგ კი გაისმის: *„მამა, მამა, წამიყვანე შენთან“,* რაც, ვფიქრობთ ალუზიაა ჯვარცმული ქრისტეს უკანასკნელი სიტყვებთან „ელი, ელი, ლამა საბაქთანი?“ რაც თარგმანით ნიშნავს: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მე?“. (მარკოზი 15 :34) მამა ღმერთივით უნდა იხსნას ელიზბარმა ლიზიკო, ახლა *„თითქოს საცაა, თავად ღმერთიც უნდა გამოჩნდეს, შვილის წასაყვანად ჩამოსული დედამიწაზე, ხელები დაიკაპიწოს და ერთხელ კიდევ (მარტო მან იცის, მერამდენედ) ხელახლა შექმნას (რასაკვირველია ,შვილის ჩათვლით), რაც კიდევ ერთხელ დავანგრიეთ, ერთხელ კიდევ მოვსპეთ, გავაცამტვერეთ გუშინ...* “[ო.ჭილაძე 2015:173]

ლიზიკო - საქართველოს ხვალინდელი დღე, ძალიან სუსტია, მას გადარჩენის იმედი არ აქვს. ფრთებზე არც კი ოცნებობს ეკაეკატერინეკატოსაგან განსხვავებით. გავიხსენოთ, რას ეუბნბა ის ანტონს, რომელიც თითქოს ფრანივით აჭრილა ჰაერში: *„ჩამოდი ძირს, შე დებილო! ცაში ავფრინდე და იქაც დამაბან?!“* [ო.ჭილაძე 2015:166] „იქაც“, ანუ აქ, მიწაზე, სამშობლოში, სახლში ის თავისუფალი არაა. ძალიან კარგად იცის, რომ საკუთარი ოჯახის თაფლის სანთელი ბევრად სჯობია კაშელების ბრდღვიალა ჭაღებს, მაგრამ სახლიდან ვერავინ აშველებს ხელს და ამიტომ იქით მიექანება, საითაც ძლიერი წაიყვანს.

საგულისხმოა, რომ რომანის დასაწყისში ანტონიც ძალიან სუსტია, მაგრამ ის საბოლოოდ მაინც გამონახავს ძალას ბრძოლისათვის. აღმართავს მამაზე ხელს და მის მოკვლას განიზრახავს. ანტონის ტრაგედია ბავშვობიდან იწყება, მან თავიდანვე არ იცის სადაა მისი ადგილი, სადაა მისი სახლი. *„უსამშობლოდ გაიზარდა, თუმცა, ფეხიც არ გაუდგამს სამშობლოს გარეთ. უბრალოდ, ისე კარგად შეუნიღბეს უფროსებმა სამშობლო,*

ვერ მიაკვლია, როგორც შავ კატას ბნელ ოთახში. უფრო სწორად, ქვიშხეთელი ბიბლიოთეკარის, გიჟი ნიკოლოზის წიგნებში მიაკვლია მხოლოდ“. [ო.ჭილაძე 2015: 161]

ანტონს, კაშელების მეოთხე თაობას, რომანში განსაკუთრებული ფუნქცია აქვს. ტექსტის კვალდაკვალ დავაკვირდეთ, ცხოვრების რომელმა მოვლენებმა განაპირობა მისი პიროვნების ჩამოყალიბება. როგორ გაიარა გზა მატლობიდან პეპლობამდე. ანტონი, რომლის მთავარი ნაკლი პატიოსნებაა, ბავშვობას დაკარგული სამოთხესავით იხსენებს ხშირად. სადაც მოთიბული ბალახის სურნელითაა გაბრუებული და სადაც მოულოდნელად გზისპირიდან ძროხა გამოდის, რომელიც უზარმაზარი ჭრელი ღრუბელივით ეფარება ყველაფერს და ბავშვის უდარდელობას ფანტავს. ამის შემდეგ ანტონ კაშელს გამუდმებით უწევს იმ სიმშვიდის ძებნა, რომელიც ბავშვობაში დაკარგა. გამუდმებით ებრძვის ძროხის მოულოდნელად გამოჩენისაგან მოგვრილ შიშებს. საინტერესოა ამ ეპიზოდის მაია ჯალიაშვილისეული შეფასება: *„ცხოვრებას მწერალი წარმოაჩენს, როგორც გზაზე მიმავალ მარადიულ ჭრელ ძროხას.“ მისთვის დრო არ არსებობს. ხამურაბისა და ასურბანიფალის ბოსლებშიც უცოხნია გულგამომპალი ჩალა, ტუტანხამონის ქელეხშიც დაუკლავთ. მისი ყვითელი, ქაფიანი ნერწყვითაა მორწყული ევრაზიის, ამერიკის, აფრიკისა თუ ავსტრალიის თალუწვდენელი ველ-მინდვრები... მისი რძით გამოზრდილი თაობები, უკვე ათასნარ მინერალად გარდაქმნილნი, ფენა-ფენა წვანან დედამიწის წიაღში...“* [ო.ჭილაძე 2003: 151] *თუმცა, აფხაზეთის ომის დროს, ეს ძროხა კვდება. მარადმედინი ცხოვრებისთვის სულერთია საქართველოს ბედი. ქვეყანა კი “მოკლული” და არა ჩანს მისი აყროლებული ცხედრის აღმდგენი.“* [მ.ჯალიაშვილი 22]

მიუხედავად სამშობლოს სიკვდილისა, მიუხედავად იმისა, რომ ანტონისა და ლიზიკოს ცხოვრება გამუდმებული გაქცევაა ეკალბარდების ბუჩკებისაკენ, რომლიდანაც მათი სისხლი წვეთავს, ანტონი მაინც მოიკრებს ძალას და ისტორიული სიბინძურიდან პეპელასავით ამოფრინდება მისი გადარჩენილი, განწმენდილი სული. (ო.ჭილაძე, 2015,160) . ეს მოხდება მაშინ, როცა ანტონი გადაწყვეტს, რომ უნდა მოკლას მამა, ანუ კაშელობა დაასრულოს.

წიგნში ბუნდოვანია, მართლა კვდება თუ არა რაჟდენი შვილის ხელით, მაგრამ ოთარ ჭილაძე გვეუბნება, რომ ამას არ აქვს დიდი მნიშვნელობა. მთავარი იყო ის, რომ

ანტონს აღარ შეეძლო არსებულ რეალობაში ყოფნა და განიზრახა მთლიანად კაშელობის იდეის მოკვლა და *გაქრობა. "მოკლა თუ ვერ მოკლა, სხვა საკითხია, მთავარია, გაბედა.. და რაც კიდევ უფრო მთავარია, მიხვდა, ვისზე უნდა აღემართა ხელი, თუკი ადამიანად აპირებდა დარჩენას ამ ქვეყანაზე... თუკი მართლა სურდა თავისუფლება!".* [ო.ჭილაძე 2015: 281]

დავუკვირდეთ, სულ რომ არ მოეკლა ფიზიკურად რაუდენი და სინამდვილეში მისი ძლიერება, ავტორიტეტი გაექრო, ესეც მომავლისაკენ გადაგმული ძალიან დიდი და გაბედული ნაბიჯია.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ, ამ გაბრძოლების შემდეგ რაღაც ახალი და ძალიან დიდი იწყება. თითქოს ვიღაცისათვის ასე პირველად თენდება. ანტონისათვის ერთი ცხოვრება დასრულდა. ახლა კი, სანამ ახალ ცხოვრებაში შეაბიჯებს, სიზმარ-ცხადის გასაყარზე დაიარება, სადაც ერთმანეთს ენაცვლენა ბავშვობისა და შემდგომი პერიოდის ეპიზოდები. ანტონის გონებაში ქაოსურადაა ყველაფერი თავმოყრილი და ვერ იგებს, სადაა, რას აკეთებს, აქამდე რას აკეთბდა. ეს ერთგვარი შეჯამება მგონია, ერთგვარი შედეგი, ანტონის მიერ გადადგმული ნაბიჯისა მამის წინააღმდეგ. რა იყო მისი ცხოვრება ამ ნაბიჯამდე? ზუსტად ასეთი ქაოსი, გაურკვევლობა. ეს ეპიზოდი დასასრულია იმისა, რაც აქამდე იყო ანტონის ცხოვრებაში. ვნახოთ, როგორ აფასებს ამ ეპიზოდს ზაზა ფირალიშვილი: *„მამისმკვლელობის შემდეგ „სიზმრად გაღვიძებული" ანტონ კაშელის სამყარო მისი წარსულის ნაფლეთებით ივსება. ოდესღაც ინფანტილიზმში თავშეფარებული კაცის ფსევდოჰარმონიულ არსებობას, გადატანილი ტრავმის შემდეგ, დროის მდინარებიდან უწესრიგოდ ამოვარდნილი ნაგლეჯები ქმინს. ესეც დროთა სისრულეა, უფრო სწორად, დროთა სისრულის მახინჯი ორეული; მასშიც როგორც დროთა საოცნებო სისრულეში, წარსული არ არის ადრე, მომავალი არ არის გვიან. არსებობს მხოლოდ წარსული უწესრიგოდ მფეთქავი წერტილებით, ერთმანეთში კონვულსიური ლოგიკით გადაჭდობილი ნარატივებით გაჯერებული აწმყო, სადაც აღარ მოიძებნება მომავლისაკენ სვლის გზები, ანუ არის ის, რასაც დანტე აღწერს, როგორც ჯოჯოხეთს, ერთი და იმავე როკვაში ჩართული საზღვრებმოშლილი სახეები ისევ და ისევ ბრუნდებიან, ერთმანეთში უწესრიგოდ გადადიან,, სიზმარეული კანონებით ქსოვენ*

სხვადასხვა, ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ ისტორიებს და კვლავ იკარგებიან. რჩება მხოლოდ მათი დაკავშირებისა და თვითგაგების მტანჯველი გარდაუვალობა და კიდევ უფრო მტანჯველი შეუძლებლობა, რადგან არ არსებობს მომავალი, როგორც გაღვიძების პერსპექტივა, როგორც ისეთი რამ, რაც ამ ქაოსს ესქატოლოგიურ მთლიანობაში მოაქცევდა და ხსნას მოიტანდა, რისი წყალობითაც შანსი მოგვეცემოდა, გავქცეოდით წარსულის ნაგებ სიზმარეულობას. ამ მდგომარეობიდან ხსნა არ არსებობს. არსებობს მხოლოდ უკიდურესი გულგრილობა ან გაბორორტება, ან არსებობს მხოლოდ ტანჯვა, როგორც ასეთი, საკუთარი არსებობის გამო ტანჯვა, ტანჯვა იმის გამო, რომ სამარადისოდ საკუთარი სულის ცოცხალი და დაუკავშირებელი ექსკრემენტების თავმოყრად ქცეულხარ. ის, რადაც საკუთარ თავს პოვებ, სხვა არაფერია, თუ არა ამ ნაფლეთების ბოროტი კალეიდოსკოპი“. [ზ.ფირალიშვილი 2010: 262]

ზუსტი შეფასებაა იმისა, თუ რას განიცდის ანტონი მამის მკვლელობის შემდეგ, თუმცა, მკვლევარს ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ ანტონისათვის გამოსავალი და გადარჩენის გზა აღარ არსებობს, რადგან რომანის ბოლოს ლიზიკო თვალებს ახელს, ის სიცოცხლის გაგრძელებას მხოლოდ იმიტომ შეძლებს, რომ კაშელობის სენი გამქრალია, ეს სენი კი ანტონმა გააქრო. ვფიქრობ, არ იქნება ხმამაღალი ნათქვამი, თუ ვიტყვი, რომ ლიზიკოს გადარჩენა ანტონის გზის გაგრძელებაცაა.

წარსულისა და მომავლის დამაკავშირებელი რგოლი კი ის ხდება, რომ ანტონი მიიღებს გადაწყვეტილებას, წავიდეს ომში. გამომძიებლისაგან დაბრუნებულის, თანამოქალაქეებისაგან ქეიფის დროს გალახულის და აუზზე პირქვეგადაკიდებული ანტონის გზა ელიზბარის გზასთან იკვეთება. ორივე ხვდება,რომ მუმლის სიბინძურეში ჩარჩენა აღარ შეუძლიათ და ამიტომ მიდიან ომში. ომში, სადაც არავის მიუწვევია ისინი. შეიძლება ამ ომის სიმბოლური გააზრებაც, ჩვენ მუდამ ომში ვართ, საკუთარ თავთანაც და გარემოსთანაც, და მოქმედება - ომში მონაწილეობა ჩვენივე გადასაწყვეტია, ჩვენ თავადვე უნდა გამოვიწვიოთ ამ ბრძოლაში საკუთარი თავი.

მკითხველი აუცილებლად შეამჩნევს რომ განსაცდელგამოვლილი ანტონი სრულიად შეცვლილი და გადასხვაფერებულია. ის პირველად ახერხებს ელიზბართან ასე გულწრფელად საუბარს, თითქოს მხოლოდ ახლა გაიგო, რა სჭირდა და აწუხებდა აქამდე

და თანამოსაუბრის ნათქვამზე, გაცივდებიო, პასუხობს: *„მე უკვე გავცივდი ძია ელიზბარ... რახანია მცივა, გაჩენის დღიდან.. ციხე სიცივეა. სულ გცივა. წევხარ - გცივა,ზიხარ-გცივა. დადიხარ - გცივა. კი არ ეჩვევი სიცივეს, ამის შეჩვევა არ შეიძლება, თანდათანობით შენც სიცივე ხდები, სიცივის ნაწილი... აი, დამადეთ ხელი, ყინულივით ვარ...პაიკი კლავს მამას და ხდება არარაობა...“* [ო.ჭილაძე 2015: 295] ყურადღება მივაქციოთ იმასაც, რომ პაიკი ყველაზე სუსტი ფიგურაა თამაშში. მას შეუძლია იმოძრაოს წინ, მხოლოდ ერთი უჯრით. საბოლოოდ კი შეიძლება გადაიქცეს იმ ფიგურად, რომელსაც მოთამაშე ჩათვლის საჭიროდ. *”პაიკი ფუგარადაც არ მოიხსენიება, უბრალოდ პაიკია და თანაც ყველაზე სუსტი …*

არადა პაიკი ერთადერთია, რომელსაც შეუძლია გააცოცხლოს ფიგურები და ზოგჯერ მეფის დაშამათებსაც კი ახერხებს …“

სათქმელი ნათელია, ოთარ ჭილაძე გვეუბნება, რომ ანტონი სუსტია, მაგრამ ზუსტად ის ფიგურაა, რომელიც მეფეს, მამას გამოუვალ მდგომარეობამდე მიიყვანს და ლიზიკოს გააცოცხლებს.

ანტონის სახეში შეგვიძლია ყველა ის ქართველი მოვიაზროთ, ვისთვისაც მძიმე ჯვარი აღმოჩნდა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილობა, ვისთვისაც ძალიან ძნელია იმ ქვეყნის დაცვა, რომელიც ორ ზღვას შუა გაუჩენია განგებას. ვისაც ვერ გაუგია, ვინაა მოყვარე, ვინ მტერი, ვისაც მშობლიური ენის ნაცვლად ჩუმად, ნელ-ნელა სხვა ენა შეაპარეს და უთხრეს, რომ მომავლისაკენ სავალი გზა მარტოს არ უნდა გაევლო. ამიტომ ჩემთვის ანტონი ამ სიტყვებით, მცივა ძია ელიზბარ, გაჩენის დღიდან მცივაო, ყველა ამ ქართველის სათქმელს ამბობს.

ანტონი ამ რეალობაში ის ნათელი წერტილია, რომელმაც გაიგო და იგრძნო, რომ ირგვლივ აუტანელი სიცივეა გამეფებული, ისიც გაიგო, რატომ სცივა და ბრძოლაც დაიწყო, ამიტომ ჩნდება იმედი იმისა, რომ მისი სამშობლო საბოლოოდ არ ამოიშლება და გაქრება მსოფლიო რუკიდან. ვფიქრობ, ზუსტად ამიტომ იხსენებს რომანის ბოლოში ოთარ ჭილაძე ექვთიმე თაყაიშვილს. გვახსენებს, რომ ექვთიმეს დროს საქართველო უკვე გამქრალი იყო. საქართველო მხოლოდ იმ ჩარაზულ ყუთებში იყო გადანახული, რომელსაც ექვთიმე დარაჯობდა. დავაკვირდეთ, რომანის მიხედვით სადაა გადამალული

ანტონის საქართველო: *„მისი სამშობლო კი არ მოკვდა, ნაადრევად თუ უდროოდ, არამედ მოკლეს და კვალის მოსასპობად წიგნის შახტში ჩააგდეს. იქ გდია, ფკსერზე, დასახიჩრებული, მრავალგზის ნაღალატევი და ყველასგან ერთნაირად განწირული, ორი მეფის, ოთხი მთავრის, ერთი ათაბაგისა და უთვალავი თავად-აზნაურის უკუდო ამპარტავნობას გადაყოლილი, მათ სიხარბეს ვერგაწვდენილი...*“ [ო.ჭილაძე 2015: 192]

სათქმელი ნათელია, ანტონის საქართველო მარტო ძველი ბიბლიოთეკის წიგნებში დარჩა. ექვთიმეს საქართველო კი რამდენიმე ყუთშია ჩაკეტილი და საფრთხეს გარიდებული. ექვთიმე - *„ულარიბესი ემიგრანტი და, ამავე დროს, არარსებული ქვეყნის ორმოცსაუკუნოვანი საგანძურის მეჭურჭლეთუხუცესი”.* ექვთიმე-*„ხვალის იმედით, გუშინდელს უძლებს, დღევანდელის გადასარჩენად.”* [ო.ჭილაძე 2015: 297]. ექვთიმემ იცოდა, რომ მისი სამშობლო იარსებებდა მანამ, სანამ იმ ყუთებში ჩატეული საგანძური იარსებებდა. ამიტომ იყო ის ულარიბესი, სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე, ამიტომ არ ჰქონდა მას სამშობლოში დასაბრუნებელი მდიდრული პალტო და ახლა, ოთარ ჭილაძე გვეუბნება, რომ ელიზბარმა ანტონს ექვთიმეობა უნდა გაუწიოს. არ იქნება უსაფუძვლო ვარაუდი, თუ ვიტყვი, რომ ანტონი იმდენად ძვირფასი და მნიშვნელოვანია ერისათვის, რამდენადაც ის ემიგრაციაში გატანილი საგანძური იყო და არის აუწონავი და ფასდაუდებელი სიმდიდრე ჩვენთვის. რადგან სწორედ ანტონმა შეძლო მატლი მოეკლა, მატლი მოეშორებინა სამშობლოს მძორისათვის და თავად, პეპლად ქცეულს, პეპელასავით მოულოდნელად დაესრულებინა აფხაზეთის ომის დროს სიცოცხლე.

შესაძლებელია, რიგით მკითხველს დარჩეს აუნაზღაურებელი მოლოდინი, გულუბრყვილო სურვილი იმისა, რომ ყველაფერი სხვანაირად დამთავრდეს: რომ ამ ომიდან ანტონი ცოცხალი უნდა დაბრუნდეს, მივიდეს ლიზიკოსთან, წამოიყვანოს ფსიქიატრიული საავადმყოფოდან და დაანახოს, როგორ იწმინდება მუმლისაგან მისი ქვეყანა. სულ მგონია, რომ ექვთიმესავით უნდა დაუბრუნდეს სამშობლოს და ეამბოროს მის მიწასა და ბალახს, ლუდოვიკოსაც დაანახოს, რომ არ გამქრალა ქვეყანა, რომელსაც ამდენი წელია უშედეგოდ ეძებს, არ გამქრალა, აქ იყო გაბნეული, გაქცეული, გადამალული, შეურაცხყოფილი ამ ყუთებში და ახლა აღსდგა, მკვდრეთით აღსდგა. მაგრამ ასე არ ხდება. ანტონი მსხვერპლია, წინაპრების მსხვერპლი და მწერალიც

წინდახედულია. სნაიპერის ტყვიისაგან მოკლულმა ანტონმა თავისი სისხლით უნდა გამოისყიდოს ის სისხლი, რომელსაც მისი წინაპარი, გოდრის თაობა უმოწყალოდ ღვრიდა, ღვრიდა და მერე ფეხქვეშ თელავდა, უნდა გამოისყიდოს პაოლოს, ტიციანის, მიხეილ ჯავახიშვილის, ილიას და სხვა მრავალთა დაღვრილი სისხლი. ბოდიში უნდა მოუხადოს მათ და იმ ომში დაასრულოს სიცოცხლე, რომელ ომამდეც მისმა მამამ (მამაში ვგულისხმობ მთლიანად კაშელების გვარს) მიიყვანა საქართველო. ვფიქრობთ, ეს მწერლისა და მკითხველის ერთობლივი ფინალია.

ანტონმა გაიარა თავისი გასავლელი გოლგოთა. მან დაასრულა წინაპრების ხოხვით გამოვლილი გზა და პეპელასავით ამოფრინდა სიბინძურის უფსკრულიდან. დაასრულა წინა სამი თაობის მატლობა, დაასრულა, მაგრამ სამშობლოს ნაცვლად ნასამშობლარი დატოვა. ბედნიერი ცოლის ნაცვლად მაჯებგადაჭრილი ლიზიკო დარჩა, რომელიც ახლა ფსიქიატრიულ საავადმყოფოშია და იმაზე ფიქრობს, მამას ჩემი ბავშვობის ზურგჩანთა წაუღია ომში, დაბრუნდება და ყველას პასუხს მოსთხოვსო, მაგრამ აქვე ამატებს *„არა, მამაჩემო, კაშელებს თავიანთი კაშელობაც ეყოფათ სატანჯველად და სავალალოდ.“* [ო.ჭილაძე, 2015, 359] ნამდვილად ეყოფათ. ახლა კი ლიზიკოსთან შესახვედრად შუასაუკუნეებიდან უნდა გადმოვიდეს ლუდოვიკო ბოლონიელი და ბოლოს და ბოლოს იპოვოს ის, რასაც ექვსასი წელი ეძებდა, მივიდეს და კითხოს, სად გაქრა, სად წავიდა, ის ძველისძველი, ძლევამოსილი, სახელგანთქმული საქართველოო. ლიზიკო კცგაოცებული უპასუხებს, აქ დავიბადე და აქვე გავგიჟდი (გავგიჟდი და არა გავიზარდე) და მსგავსი საქართველო მე არასდროს მინახავსო. ლუდოვიკო კი გააწყვეტინებს და მიუგებს:

„საგნის დაკარგვა როდი ნიშნავს საგნის გაქრობას!
სამარადისოდ და უკვალოდ ის ქრება მხოლოდ,
რის დაკარგვასაც ვეგუებით..მაგრამ თუ ვიგრძნობთ,
რომ ჩვენს სიცოცხლეს უიმისოდ აზრი არა აქვს,
ისიც ბრუნდება, უფრო სწორად, კვლავ იბადება,
და, ერთ დღეს,
როგორც წყლიდან მიწა, ან რძიდან ყველი

პირველყოფილი ბრწყინვალებით ამოიზრდება...“

ამოიზრდება, ამობრწყინდება და მას თვალგახელილი ლიზიკო დახვდება. დახვდება და ხმამაღლა, გაბედულად ეტყვის მომავალ თაობას:

„მე დაკარგულად ვერ ჩავთვლი იმას

რაც ჩემი ნებით არ დამითმია“.

[ო. ჭილაძე 1984: 286]

ამდენად, რომანის მთავარი გმირების დეტალური დახასიათებით, დავინახეთ, როგორ ადამიანებს ბადებს რეპრესიული სისტემა, როგორი თაობა ამოიზრდება გოდრის ვიწრო სივრციდან. ვაჩვენეთ, რომ ყველაფრის დასაწყისში მწყემსი დგას, რომელსაც ვერ მიუხედავს თავისი სამწყსოსთვის, აქედან გამომდინარე კი, მისი შთამომავლობის ერთი ხაზი კაშელობის ავადმყოფობითაა დაღდასმული, (რაჟდენი, ანტონი, რაჟდენი). მეორე კი (ელიზბარი, ანტონი, ლიზიკო) გაჩენის დღიდან გოლგოთაზე ადის და მაყვლის ეკალბარდებში ცდილობს დამალვას. მიუხედავად ასეთი მძიმე სურათისა, მწერალი მკითხველს მაინც უტოვებს იმედს და ეუბნება, რომ *„წინ მარადისობაა“,* რაც ცვლილების, განახლების, წინსვლისა და განვითარების უამრავ შესაძლებლობას გულისხმობს.

დასკვნა

ოთარ ჭილაძემ დაგვანახა, რომ დრო ერთი დიდი მთლიანობაა. მითოსურ და ისტორიულ გზებზე გვატარა და დაუფარავად, შეულამაზებლად გვაჩვენა, რამხელა საფრთხის წინაშე ვდგავართ. წინასწარმეტყველური გუმანით ისიც გვითხრა, რა შედეგამდე მივიდოდით, თუ კიდევ ერთხელ ჩავცვივდებოდით შეცდომების ორმოებში.

ნაშრომში წარმოვაჩინეთ მწერლის მოქალაქეობრივი და ლიტერატურული პორტრეტი, რაც შემდეგ დავუკავშირეთ მისსავე რომანების მთავარ გმირებს, რადგან მიგვაჩნია, რომ ოთარ ჭილაძე მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით, საერთო ღირებულებებსა და მიზნებს ემსახურებოდა. ერთი სატკივარი არ აძლევდა მოსვენებას და მოუწოდებდა ბრძოლისაკენ, ანუ მწერლობისაკენ.

მეორე და მესამე თავების მიხედვით დეტალურად აღვწერეთ და ვაჩვენეთ, რა როლს თამაშობს რეპრესიული სისტემა ადამიანის ფსიქოტიპზე და როგორია ასეთი ადამიანებისაგან შემდგარი საზოგადოება.

აღვნიშნეთ, რომ მწერლის შემოქმედება, პროზაცა და პოეზიაც, ერთი დიდი მთლიანობაა. გავავლეთ ერთი ძირითადი ხაზი პირველი რომანიდან, ვანის მითოსური სამყაროდან და მოვედით იმ საქართველომდე, რომელიც გოდრის ვიწრო სივრციდან ამოზრდილმა საზოგადოებამ შექმნა. სწორედ ამ კუთხით განვიხილეთ ბოლო ორი რომანი, „გოდორი“ და „აველუმი“. მიგვაჩნია, რომ ეს რომანები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და საინტერესო პარალელის ჩვენებით წარმოვაჩინეთ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საზოგადოების უკიდურესი მდგომარეობა.

მიგვაჩნია, რომ ზემოთ დასახელებულ რომანებში აღწერილი პრობლემები დღესაც აქტუალურია. აქედან გამომდინარე, ოთარ ჭილაძის შემოქმედება დაუსრულებელი საკვლევი წყაროა, რომელიც მარადიულად შეგვახსენებს, რომ წარსულის დავიწყება დაღუპვის ტოლფასია. დაუსრულებლად მიგვანიშნებს, რომ ბძოლას ყოველთვის აქვს აზრი.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ ოთარ ჭილაძესთან დრო, წარსული, აწმყო და მომავალი, ერთი დიდი მთლიანობაა. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის დღესაც ძალიან

აქტუალურია ის თემები, რაზეც მწერალი გვესაუბრება საკუთარ რომანებში. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ საქართველო ჯერ კიდევ დგას იმ პრობლემების წინაშე, რომელიც წინა პლანზეა წამოწეული „აველუმსა“ და „გოდორში“. მას ჯერ კიდევ სჭირდება „*გოლგოთაზე ასვლა*“ და „*ფერისცვალება*“, იმისათვის, რომ მსოფლიო რუკაზე თავისი ადგილი დაიბრუნოს.

ბიბლიოგრაფია:

1. არაბული ა., „მეც წავალ ოღონდ“, კრიტიკა , 2010 N 5, გვ.109-130
2. ბაქრაძე ა., „მწერლობის მოთვინიერება“, ტომი III, 2004, გვ.50-61
3. ბერძენიშვილი ლ., „ოთარ ჭილაძე - მთიდან მოპარული ჰაერი“, „გუმბათი“ 1-7 დეკემბერი, 2008 N 48, გვ. 38-40
4. გელაშვილი ნ., ‘’დედის ოთახი“, თბილისი, „მერანი“ 1987წ, გვ. 243
5. გენძეხაძე ც., „პოეტის მკაცრი ოთახი“,თბილისი, „ინტელექტი“, 2012წ. 210 გვ.
6. გვერდწითელი გ., „მარადი მგზავრი“ ლიტერატურული ნარკვევები, პორტრეტები, პოლემიკა, თბილისი, „მერანი“ 2005წ. გვ. 175-184
7. დევდარიანი რ., „აველუმობიდან აბელუმობამდე“, „ბაბილო,“ ქუთაისი, 2004, N2 გვ.132-158
8. კენჭიაშვილი თ., „ერთ რამეს ვინატრებდი მხოლოდ...“, სარკე, თბილისი, 2015 N35, გვ.56-57
9. კვაჭანტირაძე მ., ლიტერატურული პალიტრა, „განგაშის რომანები“ , 2009 N 4, გვ. 7-11
10. კვაჭანტირაძე მ., „ძალიან მაინტერესებს, როგორ გამოიყურება თქვენს თვალში ჩემი სამყარო..“ „ცხელი შოკოლადი“ თბილისი, 2008, N 14 გვ. 4-8
11. მამაცაშვილი ნ., „წვეთში მოქცეული ზღვის მოქცევა“, თბილისი, „სამშობლო,“ 1997წ. 72 გვ.
12. რობაქიძე გ., „ჩაკლული სული“, ივერია, 1991, გვ.56
13. ტაბიძე გ., საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1989, გვ.71
14. ფირალიშვილი ზ., „სიზმარეული რეალობა“ , 2010 კრიტიკა N10 ,გვ.262-273
15. ცანავა ნ., „ისტორია უძაღლოდ დარჩენილი დაკარგული ქვეყნისა და უქვეყნოდ დარჩენილი დაკარგული ძაღლებისა...“, „მნათობი“ თბილისი, 2004, N9-12 , გვ.153-170
16. ცხადაძე ე., „ “აველუმი“-ორი იმპერიის აღსასრული „ გაზ. ახალი ეპოქა. გვ.4-5

17. ჯალიაშვილი მ., - „მარადიულ სიმბოლოთა მხატვრული ინერპრეტაციები ოთარ ჭილაძის „აველუმის“ მიხედვით, ცისკარი, 1997 N8 , გვ.101-107
18. ჯოხაძე მ., „სამყარო ღრმა ძილში“ , „ჩვენი მწერლობა“ თბილისი, 2014წ. გვ. 4-8
19. ჭილაძე ო., „ცა მიწიდან იწყება“: სხვადასხვა დროის ჩანაწერები, თბილისი, „ინტელექტი“ 2015წ. გვ. 316
20. ჭილაძე ო., „აველუმი“ თბილისი „არეტე“ 2016წ. 516 გვ.
21. ჭილაძე ო., „გოდორი“ თბილისი, „არეტე“ 2015წ. 384 გვ.
22. ყარალაშვილი რ., „სახლი“ და „ბაღი“ ჰერმან ჰესეს შემოქმედებაში, ალმ.კრიტიკა, თბილისი, 1982 N3 , გვ.135-151
23. ჭილაძე ო., „გახსოვდეს სიცოცხლე“, 1984წ. გვ.286
24. ჭილაძე ო., „100 ლექსი“, 2009წ. გვ 113
25. ჯალიაშვილი მ., „დაკარგული ქვეყნის ძიება ოთარ ჭილაძის „გოდორის“ მიხედვით“. *http://maiajaliashvili.blogspot.com/2010/12/blog-post_1243.html*
26. https://interesi.wordpress.com/2011/07/06/%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%98%E1%83%99%E1%83%98/
27. სულავა ნ., http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/11/112

Ivane javakhishvili Tbilisi state University

Faculty of Humanities

Master's degree in Georgian Literature

Sopho Nadiradze

Role of repressive system in formation of Georgian Soviet and post-Soviet society according to Otar Tchiladze's novels ("Avelum" and "The Basket")

The tesis is written to obtain a Master's degree in Georgian Philology

Supervisor: Kakhaber Loria

Doctor of pfilology, TSU Associated Profesor

Tbilisi

2019